# ჩანგი

№ 3

ოთხშაბათი, 24 ივნისი, 1909 წ.

გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მან. 50 კ. ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი პეტიტის სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პრინციპიალურ წერილებზე გონივრული შესახებ საჭიროა წინდაწინ მოლაპარაკება. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. წერილები სუფთათ უნდა იქნეს დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სრული ვინაობით. რედაქცია საჭიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. ადრესის გამოსაცვლელათ საჭიროა ორი აბაზი. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, типографія „Сорапань", Семену Ивліановичу Цхомелидзе.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



## ჩანგი

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს:

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან.

| ქალაქ გარეთ | თფილისში |
| --- | --- |
| 3 თვით—2 მან. 50 კაპ. | 3 თვით—2 მან. 20 კაპ. |
| 1 „ — — 90 „ | 1 „ — — 80 „ |

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან

ცალკე ნომერი ყველგან—ერთი შაური



## დ. ნაგომარში (გურია)

მისი აღმატებულების ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით **კვლავ ახლდება დროებით შეჩერებული „იარმუკა" ესრედ წოდებული „მარინობა"**, რომელიც იწყება ჩვეულებრივად **ხუთმეტი ივლისიდან** და გრძელდება **ოცდათერთმეტ ივლისამდე**. კარვები კეთდება სუფთად, კარგი მასალისაგან. ვაუწყებთ რა ამას პატივცემულ ვაჭრებს, ვსთხოვთ **ძმები დავით და გრიგოლ გუგუნავები** მობრძანდენ ზემო აღნიშნულ რიცხვს. 3—1



ერასტო, ილარიონ და ირინე ტოროტაძენი, გიორგი, კალისტატე და არტემ სიხარულიძენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოთ გარდაცვალებას: პირველი საყვარელიმეუღლისა, მეორენი რძლისა და დანარჩენი დისას

### ფოტინე ანტონის ასულის ტოროტაძისას

ცხედარს გამოასვენებენ ოლგას საბებიო ინსტიტუტიდან და წაასვენებენ რკინის გზის სადგურზე ორშაბათს, 22 ივნისს, იქიდან წაასვენებენ სოფელ ქანქათში, სადაც დაკრძალავენ ხუთშაბათს, 25 ივნისს. (2—2)



გაიხსნა ახალი თფილისის

### კერძო სამკურნალო (ამბულატორია)

ღიაა ყოველ დღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

**ექ. ვ. ლამბაშიძე:** ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათყ.

**ექ. ბ. მ. მაკაროვი:** სამშ. და პარ.; 1—2 ს.; შინაგან და ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ი. გომართელი:** ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

**ექ. ვ. ხ. მუსხელიშვილი:** ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა $2—2\frac{1}{1}$ ს.; თვალის ავათმყ. საღამოთი

**ექ. ა. გ. მირზოევი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 3—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ.

**ნ. გ. ჭიჭინაძე:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 6—7 ს.; შინაგ. და ბავშვ. ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 0—52



### აბასთუმანში

კბილის ექიმი

სამსონ ვაშაყმაძე

იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ტერ-მარკაროვისა № 42.



### დ. სურამში.

კბილის ექიმი

### ლორის-მელიქოვი

ღებულობს ავათმყოფებს. დილის 10—2 ს. საღამოს 4—6 საათ.

ადრესი: ნებიერიძის სახლი. სადგურის ახლო.



### აგარაკი ზაქურიანი

ივანე მიქაბერიძის სახლში გაიხსნა **სასტუმრო** სუფთა ნომრებით, **აძლევენ სადილს** ევროპიული და აზიური საჭმელებისაგან. მსურველნი მიიღებიან თვიურათ. **სვიმონ მეგრელიშვილი.** 10—7


## სამხედრო წესების მოხსნა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო). 22 ივნისი.

**პეტერბურგი. გამოქვეყნდა ბრძანება იმის შესახებ, რომ მოხსნილ იქნეს განსაკუთრებული წესები ბათუმში და კინტრიშის ნაწილში, და სამხედრო წესები კავკასიის ყველა ადგილებში, გარდა თფილისისა და თფილისის მაზრისა და კავკასიის რკინის გზებისა.**

### თფილისი, 24 ივნისი

საერთაშორისო მდგომარეობა და ურთიერთობა თანდათან იზიდავს საზოგადოების ყველა ნაწილების ყურადღებას. თუ წინეთ საერთაშორისო პოლიტიკა დიპლომატიის ვიწრო წრეებში წყდებოდა, და ახლა ის საზოგადოების ფართე მასსას აინტერესებს, დღეს ყველანი თავის მოვალეობათ რაცხენ მის შესახებ თავის აზრი გამოსთქვან, მის მსვლელობაზე ასე თუ ისე გავლენა მოახდინონ.

მარა, როგორც ყველა სხვა საზოგადოებრივ საკითხებში, აქაც საზოგადოებაში 2 მთავარი მიმდინარეობა იჩენს თავს, ორი მთავარი ერთი-მეორის წინააღმდეგი აზრი ტრიალებს. ერთ აზრს აღიარებენ სახელმწიფოს ხელმძღვანელნი, გაბატონებულ კლასების წარმომადგენელნი, მეორეს სოციალისტური პარტიები,—მუშათა კლასის იდეოლოგები. პირველნი ამ პოლიტიკაში პრაქტიკულათ ჩაბმულნი, თავის ძალ-ღონეს მოკავშირის შოვნაზე ახარჯავენ. ევროპის საერთაშორისო პოლიტიკა—ეს საერთაშორისო მტაცებლობის ორგანიზაციაა. მარა ამ მტაცებლობაში გამარჯვებულნი უფრო ძლიერი რჩება, ახალ-ახალ ქვეყნებს და ბაზრებს ის ისაკუთრებს. და რადგან თვითეული სახელმწიფო ცალკე ამ ბრძოლაში ადვილათ გაისრისება, ისინი მოკავშირეებს ეძებენ. ეს სურვილი ძალზე ძალის დამატების იმდენათ ძლიერია, რომ მას მსხვერპლათ ეწირება პოლიტიკური იდეალები, სახელმწიფო წყობილების ძირითადი პრინციპები, მოქალაქობრივი თავისუფლების ტრფიალი და სხვ.. ბურჟუაზიას ღმერთი ერთი ყავს—ეს მისი ჯიბეა. ყველა დანარჩენი ამ ჯიბეს ემსახურება, ყოველი პრინციპი მხოლოდ იმდენათ არის გამოსადეგი, რამდენათაც ის ამ საქმეში ე. ი. ჯიბის გასქელებაში დაეხმარება. აქედან წარმოსდგება, რომ რესპუბლიკანური საფრანგეთი ხელს უწყობს რუსეთს. მას ისტორიული დავა აქვს გერმანიასთან და ამ ბრძოლაში უნდა რუსეთი მოკავშირეთ ყავდეს. მართალია ამ სადავო საგანს (ელზას-ლოტარინგიის შემოერთებას) ახლა დიდი გასავალი აღარ აქვს, მარა დიდი ხნის მეგობრობამ მაინც თავის კვალი დასტოვა. საფრანგეთმა მეგობრობის ნიშნათ რუსეთს მრავალი მილიარდები მისცა სესხათ. ეს სესხი რუსეთში ისეთ რეჟიმის გასამტკიცებლათ დაიხარჯა, რომელიც პრინციპიალურათ ეწინააღმდეგება საფრანგეთის რესპუბლიკანურ წყობილებას. მარა ამას საფრანგეთის ბურჟუაზია მაშინ არ დაგიდევდა; მას რუსის ხიშტი ეინტერესებოდა გერმანიის ზურგს უკან ამოშვერილი. ახლა კი ესევე მილიონები აკავშირებენ მას რუსეთთან. ანგარიშზევეა დამყარებული რუსეთ-ინგლისის მეგობრობა. ისე კი მათ პოლიტიკურ წყობილებებს შორის ღრმა განსხვავებაა.

ამნაირათ პოლიტიკური პრინციპები კი არ უხელმძღვანელებს გაბატონებულ კლასების პოლიტიკას, არამედ ჯიბის ინტერესები. ამიტომ ისინი ხშირათ ამაგრებენ სხვაგან ისეთ წესებს, რომლებსაც სდევნიან თავის სახელმწიფოში. ევროპის კაპიტალი ხელს უწყობს რუსეთში და ყოველ შემთხვევაში ითმენს მაინც ისეთ წესებს, რომლებსაც თავის „შინაობაში" ერთ დღესაც არ გააჩერებდა. ასეთ შეხედულებას აღიარებენ თვით. დემოკრატიულ-პოლიტიკური წრეებიც კი. და აი, ამაშია რეაქციონური როლი ევროპის კაპიტალის, ევროპის „განათლებულ და განვითარებულ" ბურჟუაზიის.

სამაგიეროთ სულ სხვა გზას ადგა ევროპის მუშა ხალხი და მათი წარმომადგენელი პარტიები. მათთვის მთავარი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ საერთაშორისო პოლიტიკის გავლენას ამა თუ იმ სახელმწიფოს მუშა ხალხის მდგომარეობაზე, მის უფლებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაზე. საერთაშორისო ავანტიურა—ომები, დაუსრულებელი შეიარაღება—ეს პირველყოვლისა მათ აწვებათ კისერზე, მათგან თხოულობს მსხვერპლს. ისინი იხოცებიან ომებში, ისინი იხდიან ხმელეთის და ზღვის ჯარის აუარებელ ხარჯებს, რომელიც წლითი წლობით იზრდება. ისინი იმშევიან, როცა ომიანობის გამო სამრეწველო ცხოვრების მაჯის ცემა სუსტდება. მარა სწორეთ მათ ინტერესებს ანგარიშში არ იღებენ დიპლომატები, როცა ქვეყნის ბედის გადაწყვეტას კისრულობენ. ამიტომ მუშათა კლასი მათ პოლიტიკანობას, მათ დიპლომატურ ხრიკებს და დაუთავებელ ავანტიურიზმს უარყოფით ეპყრობა. იგი მტკიცე და განსაზღვრულ პრინციპს ადგია: ებრძოლოს ყოველ საერთაშორისო ურთიერთობას, რომელსაც ხალხის დამონება აქვს მთავარ მიზნათ, ებრძოლოს ყოველთვის და ყოველგან ხალხის დამჩაგვრელ პოლიტიკას. ამაში იხატება მისი საერთაშორისო სოლიდარობა. ამით იგი აღიარებს, რომ მისთვის მთელი ქვეყნის მუშათა ინტერესები ერთი და იგივეა, რომ ყველა ამათ ძმობა ერთობა აინტერესებს თავისუფლების და თანასწორობის ნიადაგზე და არა კავშირი გაბატონებულთა გარეშე და შინაური ხალხის დასაჩაგრავათ. ამით აიხსნება ინგლისისა და პარიჟის სოციალისტების მიერ ერთგვარათ და თითქმის ერთსა და იმავე დროს გამოცხადებული პროტესტები, რომელიც ამ დღეებში გადმოგვცა ტელეგრაფმა.

ამით აიხსნება ისიც, რომ თვით იმ დეპუტატებმაც, რომელნიც რუსეთში ოპოზიციის როლს თამაშობენ და რუსეთის წყობილების განახლებას ცდილობენ, ამ საერთაშორისო პოლიტიკაში დღევანდელ მთავრობასთან სრული სოლიდარობა გამოსთქვეს. არსად ისე არ ჩანს ყველა გაბატონებულთა შეერთება და მუშათა კლასზე დაპირდაპირება, როგორც ამ საერთაშორისო სფერაში. აქ ყველაზე აშკარათ სჩანს ორი ევროპა: ბურჟუაზიული და პროლეტარული. პირველი ავანტიურას მისდევს და რუსეთის განახლების საკითხშიაც რეაქციონერობს, მეორე კი მას თანაუგრძნობს და განმათავისუფლებელ ძალთა გამარჯვებას ეტრფის. პირველი უკვე კონსერვატიული, ან რეაქციონურია. მეორე კი საკაცობრიო პროგრესს მიაქანებს წინ. ის ერთათ-ერთი პროგრესიული კლასია, რომელიც თავის ლოღიკურ დასკვნამდე ატარებს თავისუფლების პრინციპს და შეურყევლათ, მიუკიბმოუკიბავათ მიისწრაფის მის განსახორციელებლათ. დიპლომატები ქმნიან ომს, ასაზრდოვებენ მილიტარიზმს კაპიტალის სასარგებლოთ და სასახელოთ. პროლეტარიატი კი დაინტერესებულია ნამდვილი მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება გაამეფოს ქვეყნათ. მისი პრინციპი პირდაპირი უარყოფაა პირველის საფუძველის, მისი არსებობის დედა-ძარღვის, ამიტომ მუშათა ხმა ამ კითხვაში განმარტოებული დგას რუსეთშიაც და ინგლისშიაც, გერმანიაშიაც და საფრანგეთში. აქ განსაკუთრებით შეურიგებელია ორი ევროპა: ბურჟუაზიული და პროლეტარული. მარა მეორე თანდათან იკრებს ძალას და ასე თუ ისე უკვე გავლენას პოულობს საერთაშორისო პოლიტიკის მიმდინარეობაზე. რაც დრო გავა მისი ხმა უფრო ძლიერი გახდება და მისი გავლენა უფრო საგრძნობელი. აი ეს დაამყარებს ნამდვილ

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან 22 ივნისი).

### სპარსეთი.

**თეირანი.** ბარანოვსკი და მაიორი სტოკსკი იტყობინებიან შახაბადიდგან, რომ ფიდაები სასტიკად დამარცხდენ და უკუ იქცენ. კაზაკებს მოუკლეს აფიცრები და სამი ჯარის კაცი, დაუჭრეს ორი. ფიდაებს მოუკლეს 12.

**ლონდონი.** „რეიტერს" ატყობინებენ თეირანიდან: სერდარ ასადი 1000 კაცით შახაბაზე 12 მილის სიშორეზე იმყოფება. აქ ის ფიქრობს სეპეხდარის რაზმთან შეერთებას. ხმებია, რომ მან უპასუხა ინგლისის კონსულს, რომ ის არ ფიქრობს რამე ზომების მიღებას შახის წინააღმდეგ და მისი განზრახვა საზოგადოთ მშვიდობიანია.

**ლონდონი.** „ტაიმსი" ამბობს, რომ რუსეთის ცირკულიარული ნოტა სახელმწიფოების ადმი სპარსეთში მისი მოქმედების შესახებ, ფრიად დასაბუთებული არის. ჩვენ ჩვენის მხრით არ გვაქვს არავითარი საბუთი უკმაყოფილო ვიყოთ იმ ნაბიჯით, რომელიც რუსეთმა გადადგა. ამავე დროს ჩვენ ძალიან ვსწუხვართ, რომ სპარსეთის ნაციონალისტების თავშეუკავებლობამ ისეთი ზომების მიღება გამოიწვია, რომლის უხერხულობა-უადგილობას, ჩვენ დარწმუნებული ვართ რუსეთის მთავრობაც ისე გრძნობს, როგორც ჩვენ.

**ბერლინი.** იმ ამბის შესახებ, ვითომ გერმანიას რუსეთისთვის ნება მიეცეს სპარსეთში, როგორც გინდა ისე იმოქმედოს, გაზეთ „ზიუდერიკს-კორესპოდენცის" კორესპოდენტი სწერს: არც შტანდარტზე და არც სხვაგან გერმანიას ამისთანა რამ არ უთქვამს რუსეთისთვის. ყველასათვის ცნობილია, თუ რა ინტერესები აქვს გერმანიას სპარსეთში. ისიც ვიცით, რომ გერმანია ინგლისის თანხმობით თავის დღეში არ შეჰხებია რუსეთის პოლიტიკას სპარსეთშიო.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ: დილით ყაზახებსა და რევოლიუციონერებს შახაბადში, თეირანის მახლობლათ, შეტაკება მოუვიდათ. რევოლიუციონერებს მეთაურობდა გილიანის გუბერნატორი სეპეხდარი. რევოლიუციონერებმა ყაზახებს რამდენიმე კაცი მოუკლეს. დაწვრილებით არაფერი ვიცით.

**თეირანი.** რუსეთისა და ინგლისის ელჩები სცდილობენ, სპარსეთს სისხლის ღვრა ააცილონ. ღამე არდებილში მიდიან ინგლისის საელჩოს დრაგომანი ჩერჩილი და რუსეთის საელჩოს ატაშე რომანოვსკი. ეს უკანასკნელნი არდებილში სერდარ ისათს ინახულებენ დანშიმანში წავიდენ მაიორი სტოკსი და დრაგომანი ბარანოვსკი. ესენი სეპეხდარს ინახულებენ. საელჩოების წარმომადგენელნი გადასცემენ მათ, რომ მათი მოქმედება უცხოელების ჩარევას გამოიწვევსო.

### რუსეთი.

**პეტერბურგი.** ხოლერით დღეს ავათ გახდა 68. გარდაიცვალა 27, ბარაკებში ავათმყოფთა რიცხვი უდრის 677-ს

აქ მოვიდა კავკასიის ნამესტნიკი გრ. ი. ვორონცოვ-დაშკოვი.

საბლინში პეტერბურგის მახლობლათ თავის საკუთარ აგარაკზე მოკლული იპოვეს გენ.-მაიორი სულთან-ალიხანი.

ამას წინეთ მოსკოვის სამოსამართლო პალატამ გაარჩია ტესლენკოს, ტანის და ლევიცკის საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ გლეხთა კავშირის წევრობა, და გაამართლა იგინი. სენატმა პროკურორის პროტესტის თანახმათ ეს დადგენილება გააუქმა.

**ტამბოვი.** სახელმწიფო საბჭოს წევრათ ერობიდან აირჩიეს ანდრეევსკი, რომელიც წინეთ საბჭოს წევრათ იყო.

### საზღვარ-გარეთ.

**ბერლინი.** რეიხსტაგმა უარყო მთავრობის კანონ-პროექტის ძირითადი მუხლი სახელმწიფო მემკვიდრეობაზე უფლების შესახებ და აგრეთვე მემკვიდრეობაზე კანონ-პროექტის ყველა მუხლები.

**ბუდა-პეშტი.** ვენგრიის პარლამენტმა, რომელიც შეიკრიბა პოლიციის ოქმით დეპუტატი ნოვოსელის პიროვნების ხელშეუხებლობის დარღვევის გამო, დაამტკიცა, რომ დეპუტატის პიროვნების ხელშეუხებლობა დარღვეულია და საქმე კომისიას გადასცა. პარლამენტის სხდომები ხშირათ წყდებოდა ტერორის წინააღმდეგ პროტესტებით, რომელმაც ფეხი მოიკიდა ხორვატიაში.

**ვენა.** „კორესპონ. ბიუროს" სალონიკიდან ატყობინებენ: არილეპის კეპრიულის და იშტიბის ცხენოსანმა ჯარმა ბრძანება მიიღო, მონასტირში მოიყარეთ თავი და შეუერთდით სელფიჯიდან და გრტონიდან გამოსულ ჯარსაო. ელასონში მალე საალყო წესებს გამოაცხადებენ. მიზეზი ის არის, რომ მაკედონიის კომიტეტსა და ბერძნებს შორის დამოკიდებულება გამწვავდა.

უშიშრობას და არა სამშვიდობო კონფერენციები—შეიარაღებულ დიპლომატების.

# უკანასკნელი ფოსტა

## სპარსეთი

**კერჯინის ხიდის აღება.** „თ. ლ.“ ატყობინებენ: 21 ივნის, გათენებისას, რევოლიუციონერების რაზმი მიუხლოვდა კერჯინის ხიდს. ეს ძლიერ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი არის თეირანის დასაცავათ და დიდი ხანია შახის ჯარი და კაზაკთა რაზმი იცავვენ. ხიდის გარშემო მაღლობებზე ზარბაზნებია ჩამწკრივებული. რევოლიუციონერებმა კარგათ იცოდენ, რომ ხიდზე ტყვიის მტყორცნელებია დადგმული, მარა მაინც გადასწყვიტეს მისი ხელში ჩაგდება. და რომ რაც შეიძლება ნაკლები ზარალი მოსვლოდათ, გადასწყვიტეს იერიშის მიტანა ღამით. ჯერ ხიდს ზარბაზნები დაუშინეს, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა ხიდის მცველებს. ბახტიარებმა ხიდის გარს შემოვლა განიძრახეს, მარა რადგან მდინარეზე გასაცურავათ არაფერი არ აღმოაჩნდათ, ველარ მოახერხეს. მაშინ რევოლიუციონერებმა იერიშით მისვლა გადასწყვიტეს. ცოტა ხნის შემდეგ ხიდი სუპეხდარმა დაიჭირა. გაქცეულმა კაზაკებმა და რაზმებმა თოფები და ზარბაზნები დასტოვეს. მოკლული და დაჭრილი შედარებით ნაკლებია. ზარბაზნებს დიდხანს ისროდენ. რევოლიუციონერებს დიდი იმედი აქვთ, რომ მეორე შეტაკების დროს სპარსელი კაზაკები მათ მხარეზე გადავლენ. ფიდაები გამაღლებული თეირანისაკენ გაქანდენ. ორი დღის შემდეგ თეირანის ბედი გადაწყდება.

**„რუსეთის მაროკო“.** „რ. ს.“ სწერენ პარიზიდან, რომ აქ დიდი ყურადღებით ეპყრობიან სპარსეთის ამბებს. ზოგიერთმა გაზეთებმა სპარსეთ „რუსეთის მაროკო“ დაარქვეს. ზოგიერთები აღნიშნავენ, რომ გერმანია და ავსტრია იმიტომ უცქერიან ასე გულ-გრილათ რუსეთის მოქმედებას სპარსეთში, რომ ისინი შემდეგ უფრო ხელ-გაშლილი დარჩენ ბალკანეთის კითხვების გადაჭრის დროს. გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ აგრეთვე რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებას, შახის მხარის დასაჭერათ ჯარის გაგზავნის შესახებ განკარგულებას, რაიცა, მათი აზრით, ისე ვერ იხსნის სპარსეთის შახს, როგორც ვერ იხსნა საფრანგეთის დახმარებამ ოსმალეთის სულთანი ჰაბდულ-ჰამიდიო. რუსეთი ასეთი მოქმედებით მხოლოდ იმას მიაღწევს, რომ სპარსეთში „რუსეთის მაროკოს“ გაიჩენსო.

**რა აზრის არიან სპარსეთის შესახებ.** აზიის დეპარტამენტის საქმეებთან ახლო მდგომ ერთი პირის აზრით, რომელიც გაზეთ „ბირჟ. ვედ.“ შია მოყვანილი, ოსმალეთისა და სპარსეთის საქმეები დღითი დღე უფრო და უფრო მწვავდება. ოფიციალურათ ოსმალეთი რუსეთსაც და ინგლისსაც პირდებოდა სპარსეთის საქმეებში არ ჩავერევიო. მაგრამ საქმით კი სპარსეთში ადგილობრივი ოსმალეთის აგენტები მეტის-მეტ კინკლაობას იჩენენ.

თავრიზში ოსმალონი სათარხანსა და ბაგირხანს ეხმარებოდენ. სათარხანმა, როგორც კი რუსეთის რაზმი გაჩნდა, მაშინვე დახმარება თხოვა ოსმალებს. ოსმალებმა უზრუნველ ყვეს მისი სიცოცხლე. ალბათ იგი მიხვდა, რომ რუსებს არ შეეძლოთ დაეცვათ მისი ქონება, რომელიც მან წაართვა თავრიზიდან გამოქცეულ მომხრეებს შახისას.

სათარხანი დაფიქრდა. მაგრამ როდესაც დაინახა, რომ მას არავინ არ ემუქრებოდა, მალე გამოირკვა, ქუჩებში სეირნობა დაიწყო, ყველა თავისი თანაშემწენი ინახულა და დაიწყო „მოქმედება“.

შედარებით უფრო მოუსვენარი ხალხია ოსმალეთის აგენტები ურმიაში. მთავარ როლს აქ ვინმე პიტერ-ელლოუ თამაშობს. გოლანდიიდან გამოსული იგი ამ ჟამათ ოსმალეთის ვიცე—კონსულათაა ურმიაში. ის ამ რამდენიმე წლის წინეთ უბრალო წვრილ ვაჭრათ მოევლინა ურმიას, შემდეგ პოლიტიკაშიც გაერია, სახელი მოიხვეჭა, ბოლოს ვიცე-კონსულობაც იშოვა. ის ოსმალეთის სასარგებლოთ პროპაგანდას ეწეოდა და დიდი ღვაწლი მიუძღვის ურმიისკენ ოსმალეთის მოძრაობის საქმეში. მეტათ საყურადღებოა ის გარემოება, რომ პიტერელლოუს ბრიტანიის კოლუმბიის მთავრობა ბეჯითად დაეძებს, რადგან მას იქ ბოროტ-მოქმედება ჩაუდენია. ოსმალეთის მთავრობამ კი დღემდე არ გასცა თავისი წარმომადგენელი.

ოსმალეთის აგენტი იმის ცდაშია, რომ ერთის მხრით რუსებისადმი უნდობლობა დაბადოს ხალხში, ხოლო მეორეს მხრით რევოლიუციონური ელემენტებს დახმარებას უწევს შაჰთან ბრძოლაში.

უკანასკნელ დროში კი შტანდარტის რეიდზე მონარქების შეხვედრის შემდეგ გაზეთებში ხმებს ბეჭდავენ, თითქოს გერმანიასა და რუსეთს შორის შეთანხმება მომხდარიყოს სპარსეთის საქმეების შესახებ.

ამ ხმებს ოსმალეთის წარმომადგენელნი ავრცელებენ იმ სახელმწიფოს ზედგავლენით, რომელიც დაინტერესებულია, რომ რუსეთ-ინგლისის კავშირი დაირღვეს.

## ოსმალეთი

**პარლამენტი და მუშათა უფლებები.** ოსმალეთის პარლამენტმა განიხილა კანონ-პროექტი გაფიცვის შესახებ, რომლითაც აკრძალული უნდა იქნეს მუშათა კავშირების შედგენა. კანონ-პროექტმა დიდი კამათი გამოიწვია. ბევრი დეპუტატები მოითხოვდენ, რომ პარლამენტს ეცნო მუშებზე გაფიცვის უფლება, მარა შინაგან და საზოგადო სამუშაოების მინისტრებმა სასტიკათ გაილაშქრეს ასეთი წინადადების წინააღმდეგ და მოითხოვეს წარმოდგენილი პროექტის უცვლელათ მიღება. დიდი ხნის კამათის შემდეგ კანონი პალატამ მიიღო.

**სახელმწიფოების ნოტა.** იმ სახელმწიფოებმა, რომლის მფარველობის ქვეშ კრიტოსი იმყოფება, „რ. ს.“ სიტყვით ნოტა გადასცეს ოსმალეთის და საბერძნეთის კაბინეტებს. ნოტა უარს ამბობს ოსმალეთის სურვილის დაკმაყოფილებაზე, რომელიც მოითხოვდა, რომ კრიტოსის შესახებ კითხვის გადაწყვეტაში საბერძნეთი მონაწილეობას ნუ მიიღებსო. მაგრამ ამავე დროს ისინი აფრთხილებენ საბერძნეთსა და რჩევას აძლევენ, რომ ნურც პირდაპირათ და ნურც არა პირდაპირათ კრიტოსის კითხვაში ნუ ჩაერევიო.

**ახალი საზოგადოება.** სტამბოლში შესდგა ახალი საზოგადოება, რომელშიაც უმთავრესათ სომხები შედიან.

გაზეთ „ასადარდის“ მეთაურ წერილში ხსენებულ საზოგადოების დამაარსებელი შემდეგს ამბობს:

„ჩვენ ვდგევართ დანგრეულ სახელმწიფოს ნანგრევებზე და პოლიტიკურ და სოციალურ განახლების წინა დღეებში ვცხოვრობთ. მწერლობა, რომელმაც მიზნათ ნაციის ინტერესების სამსახური დაისახა, თავის თავზე დიდ პასუხის მგებლობას კისრულობს. ჩვენი გაზეთი „ასადამარდი“ ემსახურება პრინციპს: „ყველაფერი ხალხისთვის და ხალხის შემწეობით“!

ჩვენ გვინდა, რომ ჩვენს იდეურ მუშაობაში ოსმალეთის ყველა ნაციებმა მიიღონ მონაწილეობა.

ჩვენ, გაზეთის დამაარსებელნი, მიუდგომელათ მოვეკიდებით სომხებს, ყოველთვის გავკიცხავთ ამ უკანასკნელთ ცუდი ქცევისათვის და გზას ვუჩვენებთ მიზნის მისაღწევათ—ქვეყნის განსაახლებლათ. ჩვენ გვინდა ვებრძოლოთ ყველა ერთა პოლიტიკურ და ნაციონალურ შეცდომებს, რომელნიც ხელს უშლიან ქვეყნის განვითარებას და სახელმწიფოს ცხოვრებას. მთავრობის უმართებულო ქცევათა საპასუხოთ ჩვენ ყოველთვის პროტესტს გამოვაცხადებთ, რადგან ოსმალეთის მთავრობა მარტო ოსმალებს კი არ ეკუთვნის, არამედ ყველა ნაციებს. ჩვენ დამშვიდებით, რწმენით და მიუდგომელათ ვიმუშავებთ.

ჩვენი მიზანია—ხალხის სულიერი და პოლიტიკური განახლება“.

ეს ახალი პარტია საკმაოთ ძლიერია და მის წევრთა რიცხვი დღითი დღე მატულობს.

## რუსეთი.

**პოლიციის ძაღლები.** პეტერბურგში დაარსდა ახალი საზოგადოება. საზოგადოების თავმჯდომარეთ სახელმწიფო საბჭოს წევრი დენისოვია. საზოგადოების მიზანია ძაღლების პოლიციის სამსახურისთვის გაწვრთნის განახლება და დაარსება ისეთი ადგილების, სადაც უნდა მოშენდეს პოლიციის ძაღლები. ასეთ ადგილებში უნდა იყოლიონ აგრეთვე ძაღლების გამოცდილი მწვრთნელები, რისთვისაც არსდება სპეციალური სკოლა. საზოგადოებამ გადასწყვიტა შემოდგომაზე რუსეთში პოლიციის ძაღლების საერთაშორისო გამოცდა დანიშნოს.

**მუშათა შორის.** პეტერბურგში არსებობს ეგრეთ წოდებული „პეტერბურგის მცხოვრებთა და ამრჩეველთა საზოგადოება“. ეს საზოგადოებები ლეგალურია და უმეტესათ დაარსებულია კადეტების და სხვა პროგრესისტების მიერ. ამ „საზოგადოებას“ მუშები დღემდის სიახლოვეს არ ეკარებიან. ამ ბოლო ხანებში კი პროფ. კავშირების, მუშათა კლუბების და კოოპერაციის წევრები უფრო და უფრო ეტანებიან საზოგადოებებს და მასში მონაწილეობის მიღების საჭიროებას აუცილებლათ სთხოვენ. ამას შედეგათ მოყვა ამ „საზოგადოებებში“ მუშების ბლომათ ჩაწერა. მუშებმა უკვე თავის დაღი დაასვეს და „საზოგადოების“ მოქმედებას [illegible] ხასიათი მისცეს. ახლა მაგ. [illegible] საზოგადოებაში მუშების მონაწილეობით დაარსდა ეკონომიური კომისია, რომელმაც კითხვა აღძრა უმუშევრების დახმარების და შრომის ბირჟის დაარსების შესახებ. ვიბორგის „საზ.“ შესდგა მუშათა კომისია, რომლის მიზანია შრომის ინტერესების დაცვა მუნიციპალიტეტში. ვასილიევის კუნძულის „საზ.“ მუშათა გავლენით პროტესტი განაცხადა სტრამვაიო კომისიის წინააღმდეგ და იმ საშვალებების წინააღმდეგ, რომელიც იხმარა ამ კომისიამ პეტერბურგში მომხდარ ტრამვაის გაფიცვის ჩასაქრობათ. ყველა ამან ისეთი გავლენა იქონია მუშათა მასსაზე, რომ ისინი ახლა ძალიან დაინტერესებული არიან ქალაქის თვითმართველობაში არჩევნებით, რომელიც უნდა მოხდეს შემოდგომაზე და შეძლების გვარათ მხურვალე მონაწილეობის მისაღებათ ემზადებიან.

## გადასახადი მემკვიდრეობაზე გერმანიაში.

ამ რამდენიმე თვის წინათ კანცლერმა ბიულოვმა მთავრობის სახელით წარუდგინა რეიხსტაგს კანონ-პროექტი მემკვიდრეობაზე გადასახადის შემოღების შესახებ.

კანონ-პროექტმა რეიხსტაგში დიდი აურ-ზაური გამოიწვია. უმრავლესობამ, რომელსაც შეადგენს კონსერვატორ-ლიბერალების ბლოკი, გადაჭრით განაცხადა, რომ კანონი მათი ჯიბის წინააღმდეგ არის მიმართული და ამიტომ ისინი ყოველგვარ საშვალებას იხმარებენ, რომ ის უარყონ.

გუშინდელ მოკავშირეთაგან ასეთმა მკაცრმა წინააღმდეგობამ ძალზე დააფიქრა ბიულოვი. ის უარს არ იტყოდა პროექტის უკან წაღებაზე, მაგრამ მაგარიც ის იყო, რომ ეს მის სურვილს აღემატებოდა.

საქმე იმშია, რომ მთავრობას ფული სჭირია. მილიტარიზმის მუდმივი ზრდა აუარებელ ფულს ყლაპავს. არსებული გადასახადი ვეღარ აკმაყოფილებს სახელმწიფოს კანონიერ-უკანონო გადასახადებს. და აი მთავრობამ განიზრახა ახა-

## სიკოს ოცნება

გოდორით ზურგში ქოხში შევიდა,
მოხეზრებულათ ტვირთი ძირს დასცა,
გასწორდა წელში, ამოიოხრა
და ცოლს—ფოტინეს—ასე გადასცა:

„გამოილია! სასიმინდეში
არ დარჩენილა არც ერთი ტარო!..“
და ამ სიტყვებთან განმეორებით
ოხვრა აღმოხდა მას სამწუხარო.

ამის მეტი კი არა რა უთქვამთ;
ქმარმაც და ცოლმაც თავი ჩაჰკიდა
და თვითეული კარგა ხანს ხელით
ტაროდგან მარცვლებს ჭურჭელში სთვლიდა.

საფქვავს აწყობდენ უკანასკნელსა...
გარეთ კი ზამთარს დღე უწყდებოდა
და სადა იყო, ველი, მინდორი,
ტყეც ზურმუხტის ფრად გაიშლებოდა;

მოხვნა-მოთესვის დრო მოვიდოდა.
სიკომ კი იმ დროს რით გაიხაროს?
რათ უნდა მარტო შრომის დღეები
მშრომელს, უმიწოს, უკაგ-უხაროს?!

კაცს და ხარს კიდევ რამე ეწყობა,
ამ უმიწობას კი—არაფერი:
სხვისას აიღებ,—პატრონს გაძღებ,
შენ კი შეგრჩება შრომა, ოხერი!

მჭადი კი მაინც უნდა ინატრო,
მშიერმა მხოლოთ იშრომო სხვისთვის!
ამ სიცოცხლესაც სიცოცხლე ჰქვია?
რა საჭიროა: ვისთვის, ან რისთვის?!

და... თითქოს რაღაც გამოსავლელი,
გზა ხსნის იმისმა გონებამ გასჭრა:
სახეზე ღიმი გამოეხატა
და მუნით შავი ღრუბელი გაჰქრა.

— „ქალო, ფოტინე, იცი, რა გითხრა?
გავყიდოთ ქოხი და იმ ფულებით
ორი დღის მიწა მაინც ვიყიდოთ,
მუდამ მშივრები ნუღა ვიქნებით!

ნაცვლათ წნელისგან ფაცხას მოვდგამთ,
მოვბურდნ-შევგლესავ ტალახით, თიხით
და, დამერწმუნე, რომ მჭადი მაინც
არ მიგვაკლდება ჩვენ ამ წელს იქით“!..

...სიკოს ეზოში აწ ფაცხა მოსჩანს,
ქოხი კი უკვე გაყიდულია,
მაგრამ პატრონი ამას არ სჩივის,
პირიქით, უფრო მოხარულია,
რომ იმან უკვე მიწა იშოვა;
წელს კი გაავსებს თვის სასიმინდეს!
ლხენა გაქვთ, თუ კი ამ წელს გადურჩა,
შემდეგ მის ცოლ შვილს აღარ მოშივდეს!

ამ წელს გადიტანს, როგორც იქნება,
თუმცა სულ დარდი არ დაღევია
და ფაცხაში მეოფს ეხლა ოცნებათ
ახალი ქოხი გადაქცევია!

ქოხი თუ დასდგა, სხვა რაღა უჭირს?
მაშინ ხომ ბედიც ამასთანაა!..
მაგრამ ვინ იცის, წინ რა მოელის?
გლეხის სიცოცხლე გამოცანაა!..

ნ. ზომლეთელი.

## გზა-კვალ აბნეულთა ბანაკში.

(დღევანდელ მიმდინარეობათა შესახებ რუსულ ლიტერატურაში).

(შემდეგი).

არა თუ ეს ნაკლებ-ცნობილი ავტორები, არამედ უკეთესი და უნიჭიერესი მხატვრებიც კი ვერ ასცდენ ამ საზოგადო ბედს თავისი შემოქმედების მოტივების არჩევაში. ლეონიდ ანდრეევი, ეს ადამიანის გულის მესაიდუმლე, სულ უფრო და უფრო ეძლევა ავათმყოფურ პესიმიზს და ზედი-ზედ, აჩქარებით ქმნის თავის ნაწარმოებებს, რომლებშიაც წითელი ზოლით არის გატარებული საშინელი სასოწარკვეთილება ადამიანისა, რომელიც აყენებს მტანჯველ, საჭირბოროტო კითხვებს, მარა მათი გადაჭრა და პასუხის მიცემა კი არ ძალ-უძს. „ელეაზარი“ და „ადამიანის ცხოვრება“, „სიბნელე“, „ჩემი წერილები“, „შავი მასკები“—ყველა მათში, თითქოს მოჯადოებულ წრეში, შეერთდენ სულის შემხუთავ ბურუსში მკვდარი ადამიანები და ცოცხალი მკვდრები. აქ, ამ ნაწარმოებებში, გამეფებულია შიში ადამიანისა მის მოთვალთვალე სიკვდილის, გარდაუვალი და ყოვლის შემძლე „ბედის წერის“ და, ბოლოს, თვით თავის თავის წინაშე. სამი დღით მომკვდარი „ელეაზარი“, რომელსაც თავისი აღდგომის შემდეგ სიცოცხლე აღარ მიუღია; „ადამიანი“—მონა შეუბრალებელი წერისა, საბრალო სათამაშო ვიღაც ყოვლის შემძლე რუხ-სამოსლიანის ხელშია; ტერორისტი, რომელიც ცხოვრების უცოდინარია და მის ორომ-ტრიალს და დამოკიდებულებათა არეულ-დარეულობას თავს ვერ ართმევს, „სიბნელეშია“ ჩავარდნილი; საზიზღარი მოხუცი-პატიმარი, რომელსაც სატუსაღო იმ შეგნებას უღვიძებს, რომ ზომიერება და წესიერება დაურღვეველია და რომელიც თავის „წერილებში“ აყენებს ფორმულებს „რკინის რეშოტკისას“, რაც მსოფლიო განუსაზღვრელ სივრცეს პატარ-პატარა ნაწილებათ ყოფს; დაბოლოს, საბრალო ლორენცო, რომელსაც გარს ახვევია საშინელი „შავი მასკები“ და რომელიც იღუპება თავისი სულის მტანჯველი ორჭოფობის გამო—ყველა ეს სურათები, დიდებული მხატვრის მიერ შექმნილი, ნათლათ გვეუბნება აბნეულობის იმ პესიმიზმის შესახებ, რომელიც გარს ახვევია და ტანჯავს ავტორის აზრებს.

არციბაშევი „საშინელებისა“ და „დილის ჩრდილთა“ ავტორი, მრავალ მხრივი და ნიჭიერი მწერალი, ქმნის რუსულ „დომო საპიენტას“, სადაც არეულია ერთმანეთში ერთი მხრით „სანინი“, რომელმაც ასე აალაპარაკა საზოგადოება და რომელშიაც სამი თავის მკვლელობა, ერთი თავის მოკვლის განზრახვა და ერთი ბუნებრივი სიკვდილი ერთი მხრით და სქესობრივ ალტკინებულთა სურათები და დედაკაცთა და მამაკაცთა სხეულის არა ესტეტიურ განსხვავებების აღნუსხვაა მეორეს მხრით.

თევდორე სოლოგუბი, რომლის შემოქმედებასთან კრიტიკა ბევრ რამ სიბინძურეს აკავშირებს, მარა, რომელიც, ეჭვს გარეშე, „დეკადენტების“ ბანაკში ერთი ულრმესთაგანი და ყველაზე სერიოზული პოეტია, „შიპოვნიკის“ ალმანახებში ათავსებს „Творимая легенда“-ს, სადაც ერთი-მეორეს აწნავს და ატმასნებს სინამდვილესა და ოცნებას, რევოლიუციურ მასოვკებსა და უცნაურ გიპნოტიზიურ სეანსებს, ესდეკებს და საიდუმლოებით მოცულ „მშვიდ ბავშებს“, მიცვალებულთა ახალი ბილიკით მსვლელობას, „ტურფა სიყვარულის“ სურათებს და მობანავე ქალიშვილთა თავდაუჭერელ აწერილობას.

ამ სტატიის საზღვრები ნებას არ მაძლევენ, რომ ზემოთ დასახელებული ავტორების სხვა ნაწარმოებებზედაც შევჩერდე, რომლებშიაც გატარებულია იგივე დამახასიათებელი ტენდენცია, რაც ადამიანთა მსოფლ-შეგნებაში და მსოფლგრძნობაში უმთავრეს ადგილს უთმობს, ერთი მხრით, სიკვდილისა და მის წინაშე შიშის საკითხებს, ხოლო მეორე მხრით—ყოველგან სასიყვარულო სიამოვნებას.

აგრეთვე მე არ მაქვს შეძლება, რომ ახლა გავარჩიო სხვა ავტორთა ნაწარმოებნი, რომელთა სახელს საპატიო ადგილი უკავია რუსულ ლიტერატურაში.

მე მივითითებ სერიოზულ, ჭკვიანურ და სხვაზე უფრო საინტერესო გამომცემლობა „შიპოვნიკ“-ზე, რომელშიაც თანამშრომლობენ თანამედროვე რუსეთის პოეზიის უნიჭიერესი წარმომადგენელნი. როცა ეს პატივცემული გამომცემლობა თავის ალმანახებს უშვებს, თქმა არ უნდა, შემთხვევით არ ავსებს მათ ისეთი ნაწარმოებებით, რომლებიც გახვეულია ამ „წყეული კითხვების“ გამჭრწნელ კვამლში. განსაკუთრებით დამახასიათებელია ალმანახის მესამე ტომი, სადაც ისეთი მწერლები, როგორიც არიან ბუნინი, ზაიცევი და სერაფიმოვიჩი თავის შემოქმედებას ახალ მიმართულებას აძლევენ და თავის მოთხრობებში უმთავრეს ადგილს სიკვდილს უთმობენ, რაც წინეთ არასოდეს არ ყოფილა მათ ნაწარმოებში.

დინჯმა და ზომიერმა ჟურნალმა „განათლებამ“, როცა ის გასული წლის ზაფხულის დამლევს ახალი რედაქციის ხელში გადავიდა, ეს ცვლილება მით იდღესასწავლა, რომ მორიგი ნომერი გამოუშვა, რომელშიაც მოთავსებული მოთხრობები იმდენათ აღვსილი იყო „მოდერნიზმით“, რომ ხელათ აკრძალეს სასჯ. დებ. 1001 სტ. ძალით, ე. ი. პორნოგრაფიაში ბრალდების გამო.

ერთი სიტყვით, ყოველგან ერთი და იგივე მოტივებია...

და ამასთან ერთათ ერთ ხმაზე სარწმუნოებრივ-მისტიკური ბანაკის პუბლიცისტებისაგან გაისმის ერთ დროს მიწყნარებული ხმები, რომლებიც მოუწოდებენ მკითხველს სარწმუნოებისა, ღვთისა და მის ძიებისადმი. რუს მკითხველს ურჩევენ ირწმუნოს „სასწაული“, რომ მით მოიპოვოს საქაოს შეღავათი, ხოლო საიქიოს საპატიო ადგილი. მერეჟკოვსკი დაბეჯითებით და ვრცლათ ამტკიცებს, რომ რუსეთის რევოლიუცია რელიგიოზურიაო, ხოლო ნ. ბერდიაევი კი ამტკიცებს, რომ ვნებათა დაგვა „არის ღმერთში საზოგადო გავლენის მისტიკური წინასწარგრძნობა და ურჩევს მიწიერი თვითმპყრობელობა შესცვალონ „ზეციურ“ თვითმპყრობელობით.

კითხვები სარწმუნოებისა და ღვთის, სიკვდილისა და სიყვარულის შესახებ—ეს ის კითხვებია, რომლებზედაც ეჭვი არაა ჩაფიქრებულა ყველა მოაზრე ადამიანი. ამათ ახსნა-გადაჭრას ცდილობდენ წარმართთა და საქრისტიანო ქვეყნების უდიდესი გენიოსები, და ამ მხრივ დღევანდელი რუსული ლიტერატურა ახალს არაფერს იძლევა, გარდა იმ ავათმყოფურ აბნეულობისა, რომლითაც ის იქით-აქეთ ეხეთქება თავის კვლევა-ძიების დროს მეტაფიზიკურ სიბნელეში.

აქ ეს ლიტერატურა, სინამდვილით გვიხატავს აბნეულ დაცემულობას, რომელმაც გარემოიცვა რუსეთის ინტელიგენცია რევოლიუციის შემდეგ დამდგარ რეაქციის შავ-ბნელ ხანაში.

და ამიტომაც არ შეიძლება და შეცდომა იქნება რუსული პოეზიის თავისებური მიმდინარეობის ბრალი მარტო ავტორებს მოვახვიოთ თავზე, როგორც ამას ზოგიერთი კრიტიკოსები ჩადიან, რომლებიც თანამედროვე ლიტერატურის დაცემის მიზეზათ თვლიან კამენსკებსა და

ლი არა-პირდაპირი გადასახადის შემოღება. მაგრამ დღევანდელი შინაური მდგომარეობის გამო, ვერც ერთი მინისტრი ვერ გაბედავდა არა-პირდაპირი გადასახადის შემოღებას, რადგან ეს გამოიწვევდა მთელ გერმანიაში საერთო აღშფოთებას, რომელიც ვინ იცის სად მიიყვანდა მთავრობას. ამიტომაც იყო, რომ კანცლერმა განიზრახა არა-პირდაპირ გადასახადის შემოღებასთან ერთად, მემკვიდრეობაზე გადასახადის შემოღება და რომ, რაც შეიძლება უფრო სუსტი ყოფილიყო ხალხის პროტესტი არა-პირდაპირი გადასახადის წინაალმდეგ, ბიულოვმა ჯერ მემკვიდრეობაზე გადასახადის პროექტი წარუდგინა რეიხსტაგს მისაღებათ, მიუხედავათ იმისა, რომ ეს გადასახადი ერთი ორათ ნაკლებს აძლევს ხაზინას, ვინემ მოსალოდნელი არა-პირდაპირი გადასახადი.

რეიხსტაგის ნაკაზის თანახმათ ყოველგვარი კანონი, სათანადო კომისიის განხილვის შემდეგ, სამჯერ უნდა იქნას წაკითხული რეიხსტაგში და მხოლოთ შემდეგ ეყაროს კენჭი. და აი როცა პირველ წაკითხვის დროს გამოირკვა, რომ კონსერვატორ-აგრარიები სასტიკი წინაალმდეგი არიან კანონის, რაიცა იწვევს ბლოკის გათიშვას და მაშასადამე კანონის უარისყოფას, ბიულოვი შეეცადა კონსერვატორ-ლიბერალებთან „ზურგს უკან“ მოლაპარაკებით საქმის ასე თუ ისე მოგვარებას.

ყველას ეგონა, რომ ეს „ვაჭრობა“ სასურველათ დაბოლოვდებოდა, რომ ცოტას ლიბერალები „დაუკლებენ“, ცოტას კიდევ კონსერვატორები „მოუმატებენ“, „ტორგი“ შესდგებოდა. და ამ რიგათ „ლიბერალურ-კონსერვატორული“ რეფორმა მაინც გავიდოდა“.

მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. არც ერთმა მხარემ არც დაუკლო, არც მოუმატა და კანონ-პროექტი, მიუხედავათ იმისა, რომ ამ შემთხვევაში მთავრობის პროექტს ხმა მისცა სოციალდემოკრატებმა—სამარცხვინოთ გაშავდა.

მერე როგორ? მესამე წაკითხვაც კი არ ეღირსა! რეიხსტაგის ნაკაზი ამბობს, რომ კანონ-პროექტი, რომლის ყველა მუხლები უარყოფილ იქნება მეორე წაკითხვაზე,—უარყოფილია საბოლოოთ და არ შეიძლება მესამეთ წაკითხულ იქნას. კანონ-პროექტის ასეთი ბედი იშვიათი მოვლენაა რეიხსტაგის პრაქტიკაში. მარა ამ ხელათ სწორეთ ასეთი სამარცხვინო ბედი ეწვია ბიულოვის კანონ-პროექტს. ის უარყვეს მეორე წაკითხვაზე. უარყვეს მისი თვითეული მუხლი, შესავალი და ასე წარმოიდგინეთ სახელიც კი.

კანონ-პროექტის წინაალმდეგ ხმა მისცეს: კონსერვატორებმა, ცენტრმა, პოლონელებმა, ელზასელებმა და რამდენიმე „დიკიე“.—სულ—194. სასარგებლოთ: თავისუფალ კონსერვატორებმა, ნაციონალ-ლიბერალებმა, თავისუფალ მოაზრეთა სამმა ჯგუფმა და სოციალ-დემოკრატებმა. სულ—186.

აღსანიშნავია, რომ უმრავლესობა ყოველგვარ საშვალებით სარგებლობდა, ოღონდ კი კანონ-პროექტი გაეშავებია. ეს საშვალება იმდენათ უხტიბრო იყო, რომ იმპერიალისტური გაზეთებიც კი აღშფოთენ და ერთი მათგანი აშკარათ ბრალს სდებს ცენტრს, რომ ის „უსირცხვილოთ ძალას ხმარობდა დეპუტატების რწმენაზე“. მაგ. ერთ დეპუტატს, რომლის არჩევანი ჯერ კიდევ სადაოა, ცენტრმა წინადადება მისცა, რომ მათთან ერთად უარჰყოს პროექტი, წინაალმდეგ შემთხვევაში შენს არჩევნას არ დავამტკიცებთო.

ამრიგათ რვა ხმით გაიმარჯვა უმრავლესობის „შავმა“ კოალიციამ. საჭიროა ითქვას, რომ ეს არის უმრავლესობა მხოლოდ რეიხსტაგში და არა თვით გერმანიაში, რადგან, როგორც საარჩევნო ბიულეტენებიდან სჩანს, ამ უმრავლესობის ყველა დეპუტატებმა არჩევნებზე საერთოდ მიიღეს 4 მილიონი ხმა, მაშინ როცა რეიხსტაგში დამარცხებულმა უმცირესობამ—7 მილიონი ხმა.

ასე რომ 4 მილიონმა გაიმარჯვა 7 მილიონზე. ასეთია გერმანიის საარჩევნო კანონის უკუღმართობა, რაიც შედეგია საარჩევნო ოლქების შეუსაბამო განაწილების, რომლის წინაალმდეგ ოცი წელია იბრძვიან სოციალისტები და ლიბერალები. და აი ეხლა მთავრობას ამარცხებს მისივე შექმნილი კანონი!

„რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

კენჭის ყრის ასეთმა შედეგმა ბიულოვი კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა. მას ორში ერთი უნდა აერჩია. ან რეიხსტაგი დაეთხოვა და ახალი არჩევნები დაენიშნა, ან და სამსახურიდან გადამდგარიყო. მან ვერ გაბედა პირველი.

ამ ორი წლის წინეთ, როცა კათოლიკებისაგან შემდგარმა ცენტრმა და სოციალდემოკრატებმა უარი უთხრეს მთავრობას საახალშენო კრედიტებზე—ბიულოვმა მაშინვე დაითხოვა რეიხსტაგი და ახალი არჩევნები დანიშნა, რასაც შედეგათ მოყვა კონსერვატიულ-ლიბერალური კომბინაცია და ს.-დემოკრატების მიერ უმეტესი ადგილების დაკარგვა. მაგრამ ეხლა როცა ეს კომბინაცია საჯაროდ დამარცხდა, მან ვერ გაბედა თავის პოლიტიკის დაფასება ხალხისთვის მიენდო და სამსახურიდან გადადგომა არჩია. ეჭვს გარეშეა ის ასე არ მოიქცეოდა, რომ ეს უმეტესობა მემარცხენეები ყოფილიყვენ. მაგრამ რა კი ისინი კონსერვატორებია და რა კი ისინი წინაალმდეგია არიან მისი—ისიც სამსახურს თავ ანებებს. და ეს მაშინ როცა მთელი ოპოზიცია რეიხსტაგის დათხოვას მოითხოვდა და არა მის სამსახურიდან გადადგომას.

ბიულოვმა კარგათ იცის, თუ როგორ დააფასებს მის ორი წლის შინაურ და გარეშე პოლიტიკას ხალხი და რომ ამ დაფასების შედეგი იქნება ოპოზიციონური პარტიების, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატების გამარჯვება-გაძლიერება. გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებას ერთი ფრიად დამახასიათებელი თვისება აქვს. ხშირათ მთავრობის და პოლიტიკური პარტიების მიერ ამა თუ იმ სერიოზულ კითხვის გადაჭრაზე—კითხვის არსებით მხარეს იმდენი გავლენა როდი აქვს, როგორც იმის გათვალისწინებას თუ ასე თუ ისე კითხვის გადაჭრა, რამდენათ ხელ შეუწყობს სოც.-დემოკრატიის გაძლიერებას და აი ის ამ „წითელი საფრთხის“ შიშით ჩქარის სამსახურიდან გადადგეს. მაგრამ მისი „ოსტავკა“ ვილჰელმა არ მიიღო და ჯერ ისევ თავის ადგილას არის.

გერმანიის პრესსა გაცხარებული არკვევს კრიზისისაგან გამწვავებულ მდგომარეობას. კრიზისით დაშინებული კონსერვატორები წინადადებას იძლევიან შემუშავებულ იქნას ისეთი ფინანსიური კომბინაცია, რომლის მიღება შესაძლებელი იქნება მათთვისაც. ოპოზიციონური გაზეთები კი რეიხსტაგის დათხოვას მოითხოვენ.

ყველაზე უფრო ენერგიულათ რეიხსტაგის დათხოვას ს.-დემოკრატები მოითხოვენ. „ფორვერტსი“ სწერს: ჩვენ სრულიადაც არ ვსწუხვართ კანცლერის ასეთ სამარცხვინო ფინალისათვის, რომლის შინაურ და გარეშე პოლიტიკას მუშათა კლასისათვის ზარალის მეტი არა მოუტანია რა. და თუ ჩვენ მოვითხოვთ რეიხსტაგის დათხოვას მხოლოთ იმისთვის, რომ საჭიროთ ვსთვლით ხალხმა თვით გადასწყვიტოს სურს თუ არა მას ზურგზე აიკიდოს ახალი გადასახადი, მაშინ როცა შეძლებული კლასები თავიდან იშორებენ გადასახადებსო. ბიულოვი ფრთხალია, მას ენერგია აკლია, ის აგრარების დუდუკზე ცეკვავს და ამიტომ გვეეჭვება, რომ მან რეიხსტაგის დათხოვა გაბედოსო.

რით და როდის გათავდება ეს პოლიტიკური და ფინანსიური კრიზისი ჯერ შეუძლებელია ითქვას. მხოლოდ ის კი ეჭვს გარეშეა, რომ როგორც არ უნდა გათავდეს ის,—ბიულოვის—სამსახურიდან გადადგომით თუ რეიხსტაგის დათხოვით,—ორივე შემთხვევა წყალს უმატებს პარლამენტთა რაზმის განვითარება-გაძლიერებას და ძირს უთხრის მონარქიულ-კონსტიტუციონურ წყობილებას.

Все хорошо, что хорошо кончается.

**გრ. ურ.**

---

კუზმინებს ან და სოლოგუბებს და არციბაშევს. ასეთი აზრი რომ შემცდარია, ამას ნათლათ ამტკიცებს ის გარემოება, რომ ეს ახალი წიგნები აუარებელი სალდება, მეორე გამოცემათ გამოდის და მათ ავტორებს დიდი გასავალი აქვთ ხალხის ფართო წრეებში. ავტორები სწერენ მიტომ, რომ მათ ნაწერებს კითხულობენ, რის გამოც ნებსით თუ უნებლიეთ ანგარიშს უწევენ მკითხველთა გემოვნებას. და ასეთი გვარის ერთი ნაწარმოების გამარჯვება იმის საუკეთესო თავდებია, რომ მას მოყვეს ასეთივე მიმართულების ახალი წიგნები.

ზინოვიევა-ანიბალის მოთხრობა „ოცდა ცამეტი მახინჯი“, რომელშიაც დაწვრილებით არის აწერილი მთელი ტეხნიკა ორი ქალის ერთ-სქესებრივი სიყვარულის შესახებ, პირველათ აკრძალეს საზოგადოებრივი გრძნობის შეურაცხყოფისათვის, შემდეგ რამდენიმე ათასი ეგზემპლიარი გასაღდა და ზოგიერთების აღტაცებაც გამოიწვია. მარა დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ბედნიერი აზრი ოთხი წლის წინეთ, რომ მოსვლოდა თავში ავტორს, წიგნი შეუმჩნევლათ ჩაივლიდა და გაიგზავნებოდა იმ სანაგვეში, სადაც იმყოფებიან უკვე დღეიდ განსვენებული „Вѣсы“-ში მოთავსებული მოთხრობები „Болотныя лиліи“ ვიღაც სამსახურიდან გამოსულ გვარდიელისა და სხვა უარყოფილი ნაწარმოებნი „ახლგაზდა, მარა ნიჭიერი“ ავტორებისა, რომლებიც უგალობდენ ყველა ამ შვენიერებას რევოლიუციის წინა ეპოქაში, როცა რუსეთი „ხვალინდელი“ დღით ცხოვრობდა, როცა ის ხედავდა განთიადის ნიშნებს და გრძნობდა ქარიშხალის მოახლოებას.

არა, საქმე კერძო ავტორები არაა. მიზეზები უფრო ღრმა და სერიოზულია. მიზეზები უნდა ვეძიოთ იმ სულის შემხუთავ მდგომარეობაში, რომელმაც შეიპყრო რუსული ინტელიგენციის ფართო წრეები, თავს დააწვა მას მაჯლაჯუნასავით და რეაქციის შავბნელ დროს ამახინჯებს მის ცხოვრებას. უნიადაგო და მუდამ რყევაში მყოფმა ინტელიგენციამ ვერ შეძლო, რასაკვირველია, ცოტათ თუ ბევრათ მაგრათ შეხვედროდა რეაქციის სადღესასწავლო მსვლელობას და პოლიციური რეჟიმის მუშტმაც ყველაზე უწინ საზოგადოების ამ წრეებში მოიპოვა გამარჯვება. იმ დროს, როცა გამორეკილი და დევნილი მუშები ხელს სჭიდებენ ყველაფერს, რაც კი ასე თუ ისე ხელს უწყობს საზოგადოებრივ ცხოვრებას, შედიან პროფესიონალურ კავშირებში, აარსებენ მომხმარებელ ამხანაგობებს და განმანათლებელ საზოგადოებებს,—ინტელიგენცია ამ დროს „თავისუფლების“ დღეებს ტირის, მოთქვამს და არ იცის რა ქნას... ცხოვრება ფერადებს არ იძლევა და არც თავისკენ ვიტყუილებს... მახლობელის წარსული ისე ტურფა, ისე ლამაზი იყო, აწმყო კი ასე უფერულია, ასე ბნელია... რუსეთის ინტელიგენციამ დღეს თითქოს როგორღაც პირი იბრუნა ამ ულაზათო სინამდვილისაგან, ამ უფერული ცხოვრებისაგან და შეუდგა „ჭეშმარიტების“ ძებნას, რომ მსოფლიო „წყეულ“ საკითხების მეტათ ფიზიკური გადაჭრით თავი დაივიწყებას მისცეს. მას უნდა ცხოვრების სისაძაგლესა და ულაზათობას თავი დააღწიოს და „[illegible] თავში“, თავის „მე“-ში დაისადგუროს... ისე ცხოვრებისაგან განაწამები, სიხარულს ეძებს არ არსებულ მისტიკურ გამოცხადებათა დაჴსარწმუნოებრივ სასწაულებში, ან და იმავე თავდავიწყების გულისათვის ავათმყოფური სიხარბით იჩქარის დატკბეს „მიწიერი მხიარულებით“ და ქებას უგალობს „ტიტველ სილამაზეს“.

ხალხის ფართო მასსისაგან მოწყვეტილობისა და თავის ობლობა-მარტოობის გრძნობა, უცოდინარობა იმისა, თუ როგორ უნდა ცხოვრება და როგორ სურს მას,—ყოველივე ეს დაგუბებულია რუსეთის იტელიგენციის არსებაში და მზათ არის ამოხეთქოს ერთ ისტორიულ ამოძახილ-ამოყვირილათ.

„... იცხოვრეთ, იცხოვრეთ, მე მეშინია, იცხოვრეთ ჩქარა!.“ (კ. ბალმონტი). დაბნეულობა, მარტოობა, ცხოვრებასთან შეუგნობლობა, შიში მოჩვენებულ მომენტის წინაშე, რომელსაც გამოსავალი არ უჩანს, ისტერიული ძრწიალი იმის საძებრათ, რაც არ არის, აჩქარებული სურვილი, რომ მეტაფიზიკურ იდეალებში იპოვოს თავისი არსებობის გამართლება,—ყველაფერი, რითაც კი დაავალებულია დღეს რუსეთის ინტელიგენცია, ყოველივე ეს გამოხატა თანამედროვე რუსულმა ლიტერატურამ, რომლის დამახასიათებელ აღსარებათ შეიძლება ჩაითვალოს თევდორე სოლოგუბის სიტყვები:

„... ჩვენ—ტყვე-მხეცები, ვყვირით, რაც ძალ გვიძს... კარები კი გვაქვს მაგრათ დახშული, იმათ გაღებას ვერა ვბედავთ ჩვენ, გვწყდება. გვიკვდება საბრალო გული“...

და, თქმა არ უნდა, ავტორებმა კი არა, თვითონ მკითხველმა შექმნა ის ხასიათი, რომელიც სუფევს თანამედროვე ლიტერატურაში და რომელიც შიშის ზარსა გვრის ზოგიერთ კრიტიკოსებს, რევს და აცოფებს მეორეებს და ეშმაკურ ღიმილს გვრის მესამეებს. ჩვენ მეტისმეტათ გვიყვარს რუსული ლიტერატურა, ძლიერ ბევრ რამეს დიდათ ვაფასებთ მასში და არ შეგვიძლია გულცივათ და დამშვიდებით ვუცქიროთ მის მტანჯველ კონვულსიებს. მარა ჩვენ ისიც ვიცით, რომ უსარგებლო და მავნებელი შელოცვები და წყევლა-კრულვა მას არ უშველის. ამ ავათმყოფს გაამრთელებს თვით ცხოვრება, რომელიც წინ მიდის და ბევრ კარგს რამეს გვპირდება.

ეს ავათმყოფობა მახინჯმა სინამდვილემ შექმა. და მხოლოდ ახალი და მხნე მომავალი, რომელიც ჩვენ გვწამს, აღმოაცენებს და აზრდის ლიტერატურის შვენიერსა და სალ ყვავილს, რომელიც ნათლათ და სავსებით გამოხატავს ცხოვრებისა, ძლიერი ბუნებისა და ამაყი ადამიანის სიშვენიერეს.

პარიზი. **იური დნაევი.**

---

# რედაქციისაგან

ჩვენი გაზეთის რედაქცია აცხადებს ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ თუ უნდათ 1-ლი ივლისიდან გაზეთი ეგზავნებოდეთ, ხვედრი ფულის შემოტანა დააჩქარონ.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით:** тифлисъ, типографія „Сорапань“ **Семену Ивліановичу Цхомелидзе.**

# ახალი ამბები

**სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე გადაწყდა: კანონიერათ იქნას ცნობილი გამგეობის კრება რავდენი წევრიც უნდა დაესწროს; „საზოგადოების“ სკოლების მდგომარეობის გამოსაკვლევათ არჩეულ იქნა კომისია 6 პირისაგან შემდგარი—მეკელი, ფაღავა, რცხილაძე, ჰიჰინაძე, ლემანი და ერმალაევი, რომელმაც უნდა წარუდგინოს გამგეობას მოხსენება სკოლების რეორგანიზაციის შესახებ 1 სექტემბრამდე; ამავე სხდომაზე გამგეობამ მსჯელობა იქონია მომავალში ლექციების მოწყობაზე. გამგეობა ცდილობს თუ შესაფერ შენობას იშოვნის სისტემატიური ლექციების კითხვა მოაწყოს. შენობის საშოვნელათ მიღებულია ზომები. ჯერ-ჯერობით კი წინადადება მიეცა ლექტორებს შეადგინონ ლექციების პროგრამები და წარუდგინონ გამგეობას. ამავე სხდომაზე გამგეობამ უსახსრობის გამო არ დააკმაყოფილა სახალხო უნივერსიტეტის მასწავლებლების თხოვნა. როგორც ვიცით, მასწავლებლები ითხოვდენ ზაფხულის თვეებში ჯამაგირის მიცემას. გამგეობის გამოანგარიშებით 8 მასწავლებლის დაკმაყოფილებას 3 თვის განმავლობაში მოუნდება 600-700 მან. მეტი, რაც მას ამ ჟამათ არ მოეპოვება და ამიტომ მასწავლებლების თხოვნა ვერ დააკმაყოფილა.

✦ **თფილისის ტრამვაი.** ვინაიდან ტრამვაის ცენტრალური სადგურის მუშებსა და ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს ლებონს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, ლებონის წინადადების თანახმად სადგურის მუშებმა, გარდა სამი კაცისა, ერთხმათ მოითხოვეს ანგარიშის მიღება და სამსახურისთვის თავის დანებება. ცენტრალურ სადგურში დახლოვებით 35-მდე მუშა მუშაობს. მუშების დადგენილებაზე ლებონს ჯერ პასუხი არ გაუცია. როგორც გადმოგვცეს, იმ გვარსავე მოთხოვნილების წარდგენას აპირებს ბ. ლებონი ტრამვაის მოძრაობის მოსამსახურეთა მიმართ, რაც ცენტრალური სადგურის მუშებს წარუდგინა მან.

✦ **საქართველოს ეგზარხოსს** როგორც „ზაკ.“ გაუგია სინოდი დანიშნავს ნამესტნიკის პეტერბურგში მოსვლის შემდეგ. ახალი ეგზარხოსი თფილისში ჩამოვა აგვისტოს პირველ რიცხვებში.

✦ **რედაქტორის დაპატიმრება.** ამ დღეებში დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს დახურულ ჟურნალ „მათრახის“ რედაქტორ-გამომცემელი თეოფილე ბოლქვაძე. ბოლქვაძეს სამოსამართლო პალატამ 1 წლის ციხე მიუსაჯა ჟურნალში მთავრობის საწინააღმდეგო ლექსის მოთავსებისათვის, რაც სენატმა უცვლელათ დაამტკიცა.

✦ **ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში** ატესტატის მისაღებათ ეგზამენს იჭერდა 37 კაცი. ამათგან ატესტატი მიიღო 30 კაცმა: მოგვყავს მათი გვარები: ჟორჟოლიანი ს., ანდრიაძე, აფაქიძე, ბარათაშვილი, ვერულაშვილი, ღოღობერიძე, გუბელაძე, დემეტრაძე, დემეტრაშვილი, ცეცხლაძე, ჯუღელი, იმხნელი, იაშვილი, ქვარიანი, ლორთქიფანიძე, მამფორია, მეძმარიაშვილი, მიქელაძე, წულეისკირი, უშვერიძე, ჰიჰინაძე კ., ჰიჰინაძე ა., ჩხეიძე, ჩხეტია, შარაშენიძე ელიავა ნაფეტვარიძე ფურცელაძე, ლ. ხუნდაძე და ტ. ხუნდაძე.

✦ **ახალი პიესა.** კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო სცენაზე წარმოადგინონ გ. ჯაბაურის 3 მოქმედებიანი პიესა „მამის ბრალია“ პიესა სოფლის ცხოვრებიდანაა აღებული.

✦ **სომეხთა კათოლიკოსი** იზმერლიანი თავისი ამალით გუშინ თფილისიდან ეჩმიაძინში გაემგზავრა.

✦ **ქალაქის შემოსავალი.** 1 იანვრიდან 21 ივნისამდე ქალაქის კასაში შესულა სატრაქტირო გადასახადი 35,788 მ. საცხენო—27,296 მ. წყლის საყვანიდა 687,349 მ. ქალაქის სასაკლაოდან—27,979 და ჯარიმები სხვა და სხვა გადასახადების დროზე შეუტანლობისთვის—32,023 მ.

✦ **სასამართლო.** 18 ივნისს ქ. განჯაში საოლქო სასამართლომ გაარჩია იასონ საყვარელის ძე დოლიძის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა 1903 წ. სად. განჯაში ვაგონების გატეხა და სხვა და სხვა ნივთების გატანა. დოლიძე სასამართლომ უდანაშაულოთ იცნო და გაამართლა. იცავდა ნაფიცი ვექილი ნ. ელიავა.

✦ **ს. კხრა-მუხის** (ქართლი) მცხოვრები პეტრე ხუციევი ამავე სოფლის მცხოვრებლების მონდობილობით სთხოვს ნაცნობ-ნათესავებს და საზოგადოთ, ყველა იმათ, ვინც 24 ივნისს (ივანობას) ხსენებულ სოფელში დღესასწაულზე მოდიოდენ, წელს ნუ მოვლენ, ვინაიდან საზოგადოების გადაწყვეტილებით ამ დღეს არც სტუმრებს და არც ვაჭრებს სოფლელნი არ მიიღებენ.

✦ **გაზ. „დროების“** გუშინდელ რეცენზიაში თ. გოგოლაშვილზე სწერია, თითქო მას ავათმყოფობა მოეგონებიოს 14 ივნისის წარმოდგენის—„ქოჩრიანი ტოროლას“ გადასადებათ. ნამდვილათ კი, როგორც ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, თ. გოგოლაშვილი მართლა ავათ ყოფილა და ექიმისაგანაც ნათქვამი ჰქონია ყველაფერი ამაღელვებელისათვის თავი მოერიდებია, მას მაინც სდომებია ამ პიესაში გამოსვლა, მარა წინა დღით—„სად მიხვალ“-ში თამაშის შემდეგ ძლიერ სუსტათ უგვრძვნია თავი და ამიტომ ხელი აუღია 14 ივნისს თამაშზე.

✦ **ვაჭრობის აკრძალვა.** თფილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით აღკრძალულია ტროტუარებზე, ქუჩაში და სხვ. ვაჭრობა ალექსანდრეს ბაღიდან დაწყებული ბორონის ქუჩამდე. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს გადახდება 3000 მან. ჯარიმა ან დაისჯება 3 თვით დაპატიმრებით. დადგენილება ძალაში შედის დღიდან გამოცხადებისა.

✦ **მიწის ძვრა** ყოფილა „კავ“. სიტყვით 20 ივნისს აგრეთვე გუდაურში და ბორჯომში.

✦ **თუთუნის მოსავალი.** „კავ.“ სიტყვით გასულ წელს ქუთაისის გუბერნიაში მოუყვანიათ: ოზურგეთის მაზრაში—4,705 ფუთი თუთუნი, ქუთაისისაში—1,649 ფუთი, შორაპნისაში—1,120 ფუთი, ზუგდიდისაში—593 ფუთი, სენაკისაში—157 ფუთი, ლეჩხუმისაში—48 ფუთი, და რაჭისაში 6 ფუთი. სულ მთელს გუბერნიაში მოუყვანიათ 8,370 ფუთი. თუთუნის ფასი ყოფილა 7 მან. 3 მანეთამდე. ასე რომ, თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ, მცხოვრებთ ბაზარზე გაუტანიათ საშუალოთ 40,000 მან. თუთუნი. განსაკუთრებით თუთუნის მოყვანას ოზურგეთის მაზრაში მისდევენ, სადაც მის გავრცელებას ხელს უწყობს როგორც ჰავა, ისე თუთუნის საცდელი მინდვრები. ვინაიდან გარეშე პირობები წელს უფრო ხელს უწყობს თუთუნს, მოსალოდნელია გასულ წელთან შედარებით უფრო კარგი მოსავალი იქნეს.

✦ **რაჭის მაზრის** ბუგეულის საზოგადოების სოფლები: ზნაკვა, მატკაერი, სა-

გეცინა, კადისუბანი და ჯვარილი საგუბერნიო სამმართველოს დადგენილებით გამოყოფილ იქნენ ცალკე საზოგადოებათ, რომელსაც დაერქმევა ზნაკვის საზოგადოება.

✦ **სამოსწავლო ოლქის მზრუნველი** რუდოლფი ამ ახლო ხანში საზღვარ გარეთ მიემგზავრება. მის თანამდებობას შეასრულებს საოლქო ინსპექტორი ლოპატინსკი.

✦ **პროკოპი გუგუნავას** გარდაცვალების გამო სამგლოვიარო წერილები მივიღეთ სდ. მიხაილოვიდან ბუფეტის მოსამსახურეთა მონდობილობით დომენტი გოგოტიშვილისაგან და ოზურგეთის ამხანაგების მონდობილობით ანანიასაგან.

✦ **ქალაქის საბჭოს** 22 ივლისის სხდომაზე განხილულ იქნა რამდენიმე წვრილმანი საკითხი. საბჭომ გამგეობის მოხსენების თანახმად წარმომადგენლები აირჩია თფილისის საშუალო სასწავლებელთა პედაგოგიურ საბჭოებში, დაამტკიცა მოხსენება ფრიდონოვის ნადელჟევ სტიპენდიის შესახებ, 1000 მანეთამდე ერთდროული დახმარება აღმოუჩინა ამ დღეებში უეცრათ გარდაცვალებულ ქალაქის სავათმყოფოს ზედამხედველის ბახჩიევის ოჯახობას და უმეტესი დრო ქალაქის ლომბარდის საკითხს მოანდომა. გამგეობის მოხსენებით ქალაქის ლომბარდი უნდა ჩამორთმეოდა ბ. ყიფიანს, რომელიც ამ ჟამათ აწარმოებს და გადასცემოდა „ლისიცაანს და ამხ.“ ხანგრძლივი კამათის შემდეგ ლომბარდი საბჭომ ისევ ყიფიანს დაუტოვა საწარმოებლათ. ამავე სხდომაზე განსახილველათ დღის წესრიგში შეტანილი იყო ნაძალადევში მდებარე ქალაქის მიწების შეფასების საკითხი, მარა ვინაიდან სხდომას 40 ხმოსანი არ დაესწრო, ხსენებული კითხვის განხილვა სხვა დროისთვის გადადო.

✦ **თფილისის პოლიცმეისტერის** განკარგულებით ქალაქში ეტლით მოსიარულენი ვალდებულნი არიან მეეტლეს წინდაწინ მისცენ ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრების წინ და აგრეთვე რკინის გზის სადგურთან ფულის მისაღებათ შეჩერებული მეეტლე და ეტლში მჯდომი მგზავრებიც დაჯარიმებულ იქნებიან.

✦ **კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლომ** 22 ივნისს უდანაშაულოთ იცნო და გაამართლა თიანეთის მაზრის მცხოვრებნი ნიკ. ნადიაძე და თედოვის გიორ. გეორბელიძე, რომელთაც 1908 წ. ურიათ-უბანის (თელავის მაზრა) მთავრობის მამასახლისის თავ. ჩოლოყაშვილის მოკვლა ბრალდებოდათ.

—

**შეცდომის გასწორება.** „ჩანგის“ მე 2 №-ში თეატრი და ხელოვნებაში შეცდომით დასტამბულია: ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო. უნდა იყოს: ხალხი ძალიან ბევრი დაესწრო. გამოტოვებულია: შინაარსი უკვე იყო ჩვენს გაზეთში მოყვანილი და გვარიანათ ჩაატარა თავის როლი ანკარამ.

## პროვინცია

### გურია

(ნამცეც-ქუცმაცი).

დღეს ჩვენში დიდ-დიდი და ღირსშესანიშნავი ამბები არ ხდება. მაგრამ ნამცეც-ქუცმაცი ამბები ერთობ ბევრია და „სულ არაფრობას“—იტყვიან—„ცალ-ცალი ხარი სჯობიაო“ და ჩვენც დავიწყოთ, დრო-გამოშვებით ჩვენებური ნამცეც-ქუცმაცი ამბების მოთხრობა.

გლეხ-კაცობის ეკონომიური მდგომარეობა ერთა-შუა რიცხვით შევიწროვებულზე უფრო შევიწროებულია. მისი ეკონომიური კეთილდღეობა დღითი დღე კლებულობს. მეურნეობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა, მებაღეობა, ერთი სიტყვით, ყოველ დარგის მუშაობა ჯერ კიდევ ძველებურათ მამა-პაპურათ წარმოებს. მართალია, ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში აქა-იქ ზოგ-ზოგებმა მიწის გადაბრუნება და ზედ ნამყენი ვენახის მოშენება იწყეს, რაც იზაბელლას (ადესა) ფილოქსერით და მილდიუმით განადგურებამ გამოიწვია, მაგრამ იმდენათ უვიცნი არიან ვენახის მოშენება-მოვლაში, რომ ჯერ-ჯერობით რიგიანათ გაშენებულ ვენახს თითქმის ვერსად ვერ ვხედავთ.

ჩვენი გლეხ-კაცობის შემოსავლის წყაროს შეადგენს სიმინდი, აბრეშუმი და გარეთ ქალაქის ადგილას, ან სადმე რკინის გზის ახლოს, როგორც მაგალითად ქვილონი (სამეგრელო) და სად. ნატანები, ტყეში სამუშაოთ გასვლა. ღლემდის გურულები სოფლათ მუშაობის შემდეგ ტყეში ქირაზე მიდიოდნენ და ნარდათ იღებდნენ სამუშაოს სხვა და სხვა იჯარადრებიდან, მაგრამ წელს აქაც უმტყუნა ბედმა. ტყის მუშაობამ ძლიერ იკლო და მუშა ხელის მოთხოვნილება შემცირდა.

შარშანდელ წელს ძლიერ ცუდი თვალი უჩანს: ჯერ იყო და თესვის დროს წვეთი წვიმა არ მოსულა, რის გამო სავანე ადგილები ბევრი დაუთესელი დარჩა, ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ სავანე მიწების ფასებმა, როგორც მოგეხსენებათ, იმატა. ამ ფასების მომატებამ გლეხების მხრით გამოიწვია გაფიცვა, მაგრამ გაფიცვის განსახორციელებლათ ამ დაქუცმაცების დროს გლეხობას ძალღონე აღარ შერჩენია და ასე ამგვარათ წელს გლეხთა გაფიცვა მათი დამარცხებით დათავდა. მიმდინარე თვის გამეტმებულმა წვიმებმა ძლიერ ცუდი სამსახური გაუწია მიწის მომუშავეთ: ყანებში, მეტადრე ვაკე ადგილებში, „ნოყოები“ ჩადგა და ნათესი აავითლა. გულდათუთქული გლეხები გაიძახიან: „შლიყორიანი“ (წვიმიანი) წელიწადია, წელს „ნალია“ ჩვენში საერთოდ დაცალიერდება და „ეკუცია“, ხაზინა, მღვდლები, ბერი, ბოქაული და სოფლის მწერალი რა ჯანაბას წაიღებს აღარ ვიცითო“.

მეორე წყარო შემოსავლის მეაბრეშუმეობაა. მეაბრეშუმეობას დიდი ხანი მისდევენ აქ, მაგრამ არავის ახსოვს ისეთი დრო-ჟამი, რომ ჩალის ფასათ პარკი ჩარჩ-ბაყალებს ხელში არ ჩავარდნოს და გამყიდველი წონაში არ მოეტყუებინოს. არა საიმედო და ძლიერ უვარგისი აბრეშუმის ჭიის თესლი ჩვენში საიდება. თუ ცოტა რამ ამ უვარგისმა თესლმა ნაყოფი გამოიღო ისიც, სავალალოთ, ჩალის ფასად იყიდება. წელსაც ჩვეულებისამებრ ჩარჩებმა ერთა-შუა რიცხვით ნახევარი უვარგისი ჭიის თესლი გაასაღეს. საერთოთ ყველა აქაური წვრილი და მსხვილი მედუქნეები აბრეშუმის თესლს ყიდიან და პარკს ყიდულობენ. ამ ბედოვლათებს ტარანა, სიმინდი, ნავთი, სპიჩკა, ნემსი, ფართალი, მარილი, ხახვი, ნიორი და აბრეშუმის თესლი ერთათ აქვთ არეული. რაც უნდა კარგი ღირსების ჭიის თესლი იყოს მაინც წახდება ზემო დასახელებულ ნივთებთან, მაგრამ ამას ვინ აქცევს ყურადღებას, ვინ უწევს კანტროლს და პატრონობას?!.. ვინც წელს აქაურ დუქნებში ეგრეთ წოდებული ბაღდადის თესლი იყიდა თითქმის ყველა უვარგისი გამოდგა. წელს ზოგიერთებმა პასხალიდის ფირმის აბრეშუმის ჭიის თესლი მოიტანეს გასაყიდათ. მედუქნეებმა კი უფრო მეტი ბაღდადის. ყველა რასაკვირველია თავის საქონელს აქებდა. მეტოქეობა დაბეზღებამდისაც კი მივიდა. ვაჭრუკანებმა პასხალიდის თესლის გამყიდველი პოლიტიკურათ არა საიმედო პირათ გამოაცხადეს, ეს იდუმალათ ადმინისტრაციას აცნობეს და ერთ მშვენიერ დღეს სტრაჟები თავს დაასხეს. ასე იყო თუ ისე, აბრეშუმის თესლი დასადა და დაახლოებით ივნისის თხუთმეტიდან პარკი ბაზარზე გასასყიდათ გამოიტანეს და ვაჭრუკანებმაც ძველი დაჟანგული სასწორი მიწმინდ-მოწმინდეს. შარშან, როგორც ამბობენ, ადგილობრივ ადმინისტრაციას ბევრი საჩივარი მიუვიდა ვაჭრებზე, ხალხს წონაში ატყუებენო. და აი „გონება გამჭრიახმა“ ადმინისტრაციამ წელს „ხალხის გულშემატკივრობა“ გამოიჩინა და საზოგადოებებში სტრაჟები დაგზავნა, ყრილობა მოიწვია და გამოაცხადა: პირველი მუხლი პარკს არ ეხება, მარა აქვე მოვიყვან, რომ შემდეგ ვიცოდეთ: 1) სახელმწიფო დუმამ და საბჭომ მოიწონა და დაამტკიცა კანონ-პროექტი სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირების შესახებ. უკეთუ რომელიმე საზოგადოებაში მოკვლენ ან დაასახიჩრებენ რომელიმე მოხელეს, მათ ოჯახს პენსია ენიშნება და ეს საპენსიო ფულები თქვენ უნდა გადაიხადოთ; 2) გამოვიდა ახალი „პრავილა“, რომ აბრეშუმის პარკი ოზურგეთში, ლანჩხუთში და ჩოხატაურში უნდა გაიყიდოსო. დასახელებულ ადგილებში ადმინისტრაცია ვაჭრების მოტყუებიდან დაგიფარავსთ; პარკის ფასი ერთი იქნება, სასწორი სწორი და დამცველებათ სტრაჟები გეყოლებათო. სოფლებში და დაბებში გაჩნდა პარკის გაყიდვა, წვრილ-წვრილი ვაჭრუკანები დაფაცურდნენ და ჩვეულებრივათ კვიტანციებით პარკის ყიდვას შეუდგნენ; რასაკვირველია, წონაში მოტყუება ყოველ ფეხის გადადგმაზე ხდება, დაპირებული მაზანდა კი დღეში ორ-სამჯერ ირყევა: დილით პარკი 15 მ. 20 კ. ღირს ფუთი, შუადღეზე 14 მ., საღამოს 15 მ. 50 კ., ერთ დღეს ასეა, მეორე დღეს სულ წინააღმდეგი, ხან 13 მ. იყიდება, ხან 14 მ., ერთ დღეს ყიდულობენ, მეორეს კი არა, ხან შუადღეზე შესწყვეტენ პარკის ყიდვას, ხან დილა-საღამოს. ადმინისტრაციის „პრავილას“ ვაჭრუკანებმა მოხერხებულათ ყოველი მხრიდან შემოუარეს და დანიშნულ ადგილებს გარდა სხვაგანათ თამამათ ყიდულობენ პარკს. სწორეთ ჩვენებურ ვაჭრუკანებზე ითქმის: „ვაჭრის აზრებს ფრთა ასხია და ყოველ „პრავილას“ გადააფრინდებათ.

სიმშილის და აუარებელი გადასახადებისაგან განამწარებს გურულებს სხვათა შორის პირადულ ნიადაგზე აღმოცენებულ შურის და მტრობის ანგარიშის გაწევაც ცარიელი ჯიბით უხდებათ. ეს სამი წელიწადია ჩვენს კუთხეს ეგზეკუციიდან არ შეუსვენია. ღლემდის ეგზეკუციას აყენებდნენ, გადასახადებს კრებდნენ რევოლიუციის გასანადგურებლათ. მთავრობას გურია კავკასიაში კრამოლის აკვნათ მიაჩნდა და ამ აკვნის დამსხვრევას დღითი-დღე ლამობდა. დღეს კი პირადულ ნიადაგზე აღმოცენებულ ბოროტ-მოქმედებისათვისაც ამ გაძვალტყავებულ ხალხს ათასობით ახდევინებენ. ვიღაც მამულაიშვილმა პირადი მტრობით მღ. იონა ღლონტი დასჭრა და სოფ. დვაბზუს ეგზეკუცია ჩაუყენეს და სამი ათასი მანეთის მოგროვებას შეუდგნენ. ისინი, რომელთაც არაფერი ებადათ, ქალიანკაციანათ დაიჭირეს. ამ საქმის გამო ამას წინათ დვაბზუის საზოგადოებიდან რამდენიმე კაცი მაზრის უფროსთან წავიდნენ სათხოვნელათ, რომ პარკის გაყიდვამდე ედროებია ფულების გადახდევინება. მთელი დღე სამმართველოს ეზოსთან იტრიალეს და მაზრის უფროსთან სათხოვნელით ვერ შებედეს, რადგანაც გაიგეს, მაზრის უფროსი უხასიათოთ არისო. მღვდელი იონა ხედავდა და ხედავს მრევლის ასეთ შევიწროებას, მათ ოხვრას და გოდებას, მაგრამ კრინტსაც არ სძრავს.

— სკოლები ჩვენში სოკოსავით მრავლდება თუ შეიძლება ასე ითქვას, იშვიათია ისეთი საზოგადოება, რომ ორი-სამი სკოლა არ ქონდეს; მაგრამ სამწუხაროთ ზოგი მასწავლებლები ამ ფუქსავატ დროს ძლიერ გაფუქსავატდნენ. აი ამის მაგალითი. ერთ მასწავლებელს სკოლის ახლოს მეზობელ ქვრივი ქალისაგან სადილები უხარჯავს. ხელმოკლე დედაბერს ზრდილობიანათ და თავაზიანათ მასწავლებლისათვის ფული მოუთხოვია.

— ფული არ მაქვს, მამასახლისმა ჯამაგირი არ მომცა. მამასახლისს წერილს მივწერ მიუტანე და ფულს მოგცემსო, უპასუხნია მასწავლებელს, რაზედაც, რასაკვირველია, დედაკაცი დასთანხმებია. წერილი დაიწერა, დედაკაცმა სოფლის სამმართველოში წაიღო. შაბათი დღეა, სოფლის მოსამსახურეები სხედან და საქმეებს არჩევენ. დედაკაცი წერილს აძლევს მწერალს, რომელიც კითხულობს დაახლოვებით შემდეგს: ხმამაღლა წაიკითხე. მე დიდი ხანია, უფალო, დავქვრივდი. ჩვენს კანცელარიაში რუსი იყო. იგი ჩემი საყვარელი არის, უიმისოთ მე სიცოცხლე არ შემიძლია. ეს ერთი ხანია რუსი სადღაც გაგზავნეთ და არ დაბრუნებულა. გთხოვ მომინახო და მომგვარო. მასწავლებლის ასეთმა ტაკი-მასხარობამ დედაკაცი გააწითლა, დამსწრე საზოგადოებაში სიცილ-ხარხარი გამოიწვია და სოფელს სათხუნჯო ამბით მოედვა და მოეფინა. მართალია, ამის გამო სოფლელები ოხუნჯობენ, მარა თანაც გულნატკენები გაიძახიან: ღმერთო, ასეთი მასწავლებლები გვაშორეთ!

თუ თავიდან მოშორებაზე საქმე მიდგა, მოსაშორებელი და მოსაცილებელი ბევრი რამ გვაქვს. აი თუ გინდ გურულების განუყრელი მალიარია, რაც მათ ნაჭირნახულევს სხვათა შორის ფერშლების ჯიბეში აწრიალებს; დრამა ფული, რაც სულთამხუთავივით თავს დაგვდგომია და პარკის გაყიდვას უცდის და სხვა მრავალი რამ, მაგრამ ამაზე შემდეგ.

**ნამცეცი.**

### წერილი რედაქციის მიმართ

**სარდიონ ფალავა გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი:**

გაზეთ „ჩვენი აზრი“-ს № 39 მოთავსებულია ანგარიში ეგნატე ნინოშვილის ძეგლის ასაგებათ მოგროვილი 19 მ. 30 კ. ეს ფული მოვაგროვე მე ტრამვაის მოძრაობის მუშებისაგან და არა რკინის გზის მუშებში, როგორც ეს შეცდომით გამოცხადებულია გაზეთში.

**სარდიონ ფალავა.**

—

„ჩვენი საქმის“ № 30-ში მოთავსებულია ბ. **фабрицій**-ს წერილი დიდი-ჯიხაიშიდან. თქვენ სწერთ დ. ნ. და ი. დ. ყოვლად უმიზეზოთ აუტყდენ აფთიაქის მმართველს მ. ლ—ძესო, „არა ადგილობრივს“ და გაჩდა ბეზღაობა, შედეგათ კი ფარმაცევტის დათხოვა მოყვაო. ეს მართალი არაა, ბატონო ფაბრიციჲ. ამას მოწმობს ქსენონის კომიტეტსა და ფარმაცევტს შორის მომხდარ საამხანაგო სასამართლოს გადაწყვეტილება: „ქსენონის კომიტეტის მოქმედება ე. ი. ფარმაცევტის დათხოვნა ვსცანით სამართლიანათ, რადგან ეს იყო მიმართული საზოგადო ინტერესის საკეთილდღეოთო“. მეორე, უდანაშაულო დასჯილს გამოესარჩლა ექიმ ვ. ლ—ძეო, რისთვისაც დ. ნ. მას ქსენონში პოლიციის მოყვანაც კი დასწამაო, რაც ბოლოს მასვე დაუმტკიცდაო. საქმე ასე კი არ იყო: როცა ქსენონში მივიდა კომიტეტის თავმჯდომარე და გამოუცხადა ფარმაცევტს თავიანთი გადაწყვეტილება, ბ. ექიმს იმ დროს მასთან სიტყვიერი შეტაკება მოუხდა და ბოლოს დასძინა: მე ვარ და არ ვემორჩილები თქვენს გადაწყვეტილებას. რაც გინდათ, ის ქენითო“. ყველა ამის შემდეგ, კომიტეტის თავმჯდომარე მიუვიდა ადგილობრივ სასამართლოში ამხანაგების თანადასწრებით, შეადგინეს ოქმი და გადასცეს მამასახლის სისრულეში მოსაყვანათ, რაც მამასახლისაგან იმ წამსვე შესრულებული იქნა. ზემო ნათქვამიდან ყველა მიუდგომელი მკითხველი ნათლათ დაინახავს, თუ პოლიციის მიყვანა ქსენონში ვის მოქმედობამ გამოიწვია. მე ვარ ამაში დამნაშავე თუ ექიმი ვ. ლ—ძე! აი მოკლეთ ჩემი პასუხი და თუ თქვენ ეს არ დაგაკმაყოფილებთ, მაშინ ვეცდები სავსებით გამოვაქვეყნო ის, რაც ჩაიდინეს თქვენგან უმანკო მტრედებათ გამოყვანილმა პირებმა. **დ. ნ.**

## ე. ნინოშვილის ფონდი

„ჩანგი“-ს რედაქციამ მიიღო გაბრიელ ბურჭულაძისაგან ე. ნინოშვილის ძეგლის სასარგებლოთ სოფ. სამებაში (გურია) შეგროვილი 7 მ. 5 კ. შემომწირველთა სია ვერ იბეჭდება, რადგან ის რედაქციას არ მიუღია, როგორც გაბრიელ ბურჭულაძე ამბობს იგი მას დაკარგვია. ეს ფული გადაეცა „ჯეჯილის“ რედ. ანასტასია წერეთლისას.

—

„ჩანგი“-ს რედაქციამ მიიღო ე. ნინოშვილის ძეგლის სასარგებლოთ გიორგი ასათიანისაგან ჯულფის რკინის გზის ზოგიერთ მოსამსახურეებს შორის შეგროვილი 9 მ. 25 კ.

შემომწირველთა სია: გიორგი ასათიანი 1 მ.; ირაკლი სიმონოვი 1 მ.; ილარიონ მეფარიშვილი 2 მ.; კარპე ჯაში 1 მ. 50 კ.; პოლიკარპე ქუმბურიძე 50 კ.; კოლია ქუმბურიძე 25 კ.; მათე თავაძე 2 მ.; კატო თავაძისა 1 მ. სულ 9 მ. 25 კ. გადაეცა „ჯეჯილის“ რედაქტორს ანასტასია წერეთლისას.

რედაქტორ-გამომცემელი
**ლ. ბ. დადიშქელიანი**

## განცხადებანი


### სპერმატინ. და ალმეზას

**საწყობი** გადატანილია ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, **ნეკრასოვის ქ. № 14. ახობაძე.**

30—2

### „მათრახ-სალამურის“

რედაქცია აცხადებს კორესპოდენტთა საყურადღებოთ, რომ რედაქციის ადრესი შემდეგია:

Тифлисъ, типографія т-ва „Шрома“ **Василію Болквадзе,**

### იყიდება

მიწა—263 კვად. საჟენი. საბურთალოზე, მალაკნების კოლონია. პირობებისათვის გთხოვთ მიმართოთ მალაკნის ქუჩა № 2, ნ. გიორგობიანს, ანუ ბელინსკი ქუჩა 19, ნ. კარანგოროვს.

5—2

### ალმეზა




ალმეზა 2 წუთში აცხრობს კბილის ტკივილს. კარგავს პირის სიმყრალეს. ამაგრებს ღრძილებს, აჩერებს სისხლის დენას. აუცილებელი საჭიროა ყოველს ოჯახში. ვარჩენთ კანტორაში უფასოთ. ფასი ნორ. ფლ. 1 მ. 20 კ.; საცდელისა 40 კ. ვგზავნით ფასდადებით. დარიგება თან ახლავს. **საწყობის კანტორა თფილისში,** ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14.

15—8

### სიკვდილი ბაღლინჯოებს.

ახალი საშუალება კლაპოვინი, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ მინუტში, რისთვისაც პირობას ვაძლევთ. ჯერ არ ყოფილა ამგვარი საუკეთესო წამლი. ფლაკონი 35 კ. დარიგებასთან ახლავს. ვგზავნით ფას-დადებით. მოითხოვეთ კლაპოვინი ახობაძისა. **ერთათ ერთი საწყობი თფილისში,** ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. აფთიაქებს პროც.

15—8

### მასწავლებელი
### თ. კიკვაძე

**ამზადებს** ქალ-ვაჟთ **გიმნაზიებისა, რეალური, საკომერციო, მიწის მზომელთა** და **იუნკერთა** სასწავლებლებისათვის, **კადეტთა კორპუსისა, სამასწავლებლო ინსტიტუტისა, საბუღალტერო** კურსებისათვის, **სახალხო სკოლის მასწავლებლათ და აფთიაქის საშეგირდოთ.**

**პატარა ბავშვების ჯგუფში** მიიღებიან **ანბანის უცოდინარი** ბავშვები.

**სპეციალური მომზადება ქართული გიმნაზიისათვის.**

**ადრესი:** ვერა, ოლღის ქუჩა ზემელის აფთიაქის ახლო, № 17.

(0—4)


## ქართულ პოლიტიკური ეკონომია ენაზე

მი[illegible] მოწერა ა. ბოგდანოვის ცნობილ თხზულებაზე: „მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა“ (პოლიტიკური ეკონომია) (краткій курсъ экономической науки).

ხელის მოწერა გაგრძელდება პირველ აგვისტომდე. აგვისტოში შევუდგებით წიგნის დაბეჭდვას და დაურიგდება ხელის მომწერთ ენკენისთვის უკანასკნელ რიცხვებში. წიგნი დაიბეჭდება იმდენი, რამდენიც ხელის მომწერი იქნება, ამიტომ ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.

წიგნი იქნება დიდი ფორმატისა ($^{6}/_{10}$ სტამბურ კვადრატზე) დაახლოვებით 500 გვერდამდე და ეღირება ხელის მომწერთათვის 60 კაპ.; გადმოთარგმნილია **ი. ცდობილის** მიერ და გამოდის შვარცის და რაჟდენიძის რედაქტორობით. წიგნში ჩართული იქნება უცხო სიტყვათა ლექსიკონი და გამოცემის დაწვრილებითი ანგარიში, სანდო პირების შემოწმებით და ხელის მოწერით; გამოცემის ინიციატორთ მიზნათ არა აქვთ კომერციული მოსაზრება და ამიტომ იმედია, ვისაც აინტერესებს პოლიტიკური ეკონომიის საკითხები ხელის მოწერას არ დაიზარებს, მით უმეტეს, რომ წიგნი უმაგალითო იაფათ გამოდის; თუ ნავარაუდევ ხარჯს რამე გადარჩა, გადაეცემა ე. ნინოშვილის ფონდს მთარგმნელის სურვილისამებრ, რომელიც უძღვნის ამ თარგმანს ე. ნინოშვილის ხსოვნას.

ხელის მოწერა მიიღება თფილისში, წიგნის მაღაზიებში: წერა-კით. საზოგადოებისა (სასახლის ქუჩა), „ნოვაია რეჩი“ (სახაზინო თეატრის პირდაპირ), ტარაიანცის, „გუტენბერგი-“ს და „ცოდნა“-ს (მერკვილაძესთან) სამკითხველოს. გამგეებთან: ნაძალადევში, ვერაზე, ავჭალის ქუჩაზე № 39, ავლაბრის (ვარდის მოედანთან) და კაიდანოვის, (ვეტცელის სასტუმროს პირდაპირ) სტამბებში: „ცისკარი“-ს და „შრომა“-ში. რკინის გზის უმთავრეს სახელოსნოში და დეპოში პ. ფირცხალავასთან, თამაშევის ქარვასლაში არტემ კონდახჩევის შკაფი № 37; რაფიელ ჯიბლაძესთან ტრამვაის სამკითხველოში დ. მკერვალიშვილთან და ტრამვაის კონდუქტორები: დ. ჩავლეიშვილთან და ჩიხუეშვილთან. ავჭალის ლიანდაგზე: გ. პანიევთან. და რევუტოვის ქ. № 20 სამკერვალო მაგდალინა იმნაძესთან.

### პროვინციებში

ახალსენაკში, წიგნის მაღაზია „სინათლეში“; აბაშაში ბაგრატ დოლიძესთან; ბალახანში „Совѣтъ Съѣзда“-ს სამკითხველოში; ბაქოში „სატრუდნიკის“ წიგნის მაღაზიაში; ბათუმში გიორგი მახარაძესთან; ბორჯომში რიკაძესთან; ბოლაჯარაში ბუფეტში; გორში ა. კალანდაძესთან; განჯაში გ. ცხომელიძესთან; ერევანში ; ევლახში ბუფეტში; ზუგდიდში ივ. ნაჭყებიასთან; თელავში მღ. ისიდორე პერტაიასთან; კიურდამირში ალექსი გუგუნავასთან; კავკავში ჭელიძესთან; ლანჩხუთში მიხაილოვში (ხაშური) ა. მამფორიასთან; მიუსუსლიაში (ბაქოს ლიანდაგი) დ. კანკავასთან; ნაოლალევში არ. სულავასთან; ოზურგეთში თალაკვაძის წიგნის მაღაზიაში; ონში (რაჭა) ; სოხუმში ადგილობრივ კიოსკში დ. ჩარკვიანთან; სურამში ა. ლორის-მელიქოვთან; სიღნაღში ი. ტერ-გევორქოვთან; სამტრედიაში წიგნის შკაფში; ფოთში ვანო ტუღუშთან; ქუთაისში წიგ. მაღ. „იმერეთი“; ყვირილაში წიგნ. მაღაზია „სორაპანი“; ყარაიაზში ვ. ზოდელავასთან; ჩოხატაურში ცაგერში (ლეჩხუმი) ; ჭიათურაში ; ხონში ბახტაძის წიგნის მაღაზიაში, ცხინვალში სოსიკო პოგრიშვილთან.

პროვინციის იმ ადგილებიდან, სადაც აგენტები არა გვყავს ხელისმომწერლებს შეუძლიათ გამოიწერონ 20 ივლისამდე წიგნები წინდაწინვე ფულის გამოგზავნით. თითო წიგნი გაგზავნით ეღირება 75 კ. ფულის მაგიერ შეიძლება შვიდ კაპეიკიანი ფოსტის მარკები. 11 ცალი ან 75 კაპეიკიანი ღერბის მარკა გამოგზავნონ უსათუოდ საგანგებო წერილი (заказн. письмо).

შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Василію Гадилія, 2-я Тумановская ул. № 34. აგენტურის შესახებ მოლაპარაკება სიტყვიერათ შეიძლება ამავე ადრესზე ყოველ დღე 3—6 საათამდე.

(20—8)